პარტნიორი მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
28 მაისი **ოთხშაბათი** 2014
№ 101 (14 322) ფასი 80 თეთრი

## მილანის ახალი მწვრთნელი ინძაგია



9

# მიდით, ბიჭებო!!!

## ერთი ნაბიჯი ფინალურ ეტაპამდე



2



იულიან დრაქსლერი



ბენედიქტ ჰიოვედესი

## ნიკო როსბერგი და გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ფეხბურთელები ავარიაში მოყვნენ

ფორმულა 1-ის პილოტი **ნიკო როსბერგი** და გერმანიის ნაკრების ორი წევრი **იულიან დრაქსლერი** და **ბენედიქტ ჰიოვედესი** ავტოავარიაში მოყვნენ „მერსედესზე" სარეკლამო ფილმის ჩაწერისას.

როსბერგს და დტმ-ის პილოტ **პასკალ ვერლაინს** დაჰყავდათ გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ფეხბურთელები. ეს ყველაფერი სამხრეთ ტიროლში (ჩრდილოეთი იტალია) ხდებოდა, სადაც გერმანიის ნაკრები მუნდიალისთვის ემზადება.

ვერლაინის ავტომობილი ორ ადამიანს შეეჯახა, რომლებიც ჰოსპიტალში მოხვდნენ. „შოკში ვარ", - აცხადებს როსბერგი, რომელიც ამჟამად ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის ლიდერია. არც ფეხბურთელები და არც პილოტები არ დაშავებულან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დინამო ძალაა: დისციპლინა, პროფესიონალიზმი და სისწრაფე

12



U19 ელიტრაუნდი

# ერთი ფეხი ევროფინალამდე!



„გატბანს" - ეს ზარანდიას შეტევას მოჰყვა, თუმცა საბოლოო დარტყმა ჩვენს სასარგებლოდ მეტოქის მცველმა პანაიოტის ლოიზიდესმა შეასრულა - 4:0.

მეორე ტაიმიც ანალოგიური სცენარით წარიმართა, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ქართველები მხოლოდ ერთი გოლით დაკმაყოფილდნენ და ბოლოს ერთიც თავად გაუშვეს. „ჯვაროსნებმა" მეხუთე ბურთი, თოარ კაკაბაძის გადაცემით, კიკაბიძემ მიითვალა.

63-ე წუთზე გუნდებმა საგოლე მომენტები გაცვალეს, თუმცა ანგარიში არ შეცვლილა.

**27.05. ლიტანი**

**საქართველო-კვიპროსი 5:1**

1:0 ციციაძე (14), 2:0 კიკაბიძე (19), 3:0 ზარანდია (30), 4:0 ლოიზიდესი (45-ავტ. კარში), 5:0 კიკაბიძე (55. კაკაბაძის პასით), 5:1 ა. პანაიოტუ (90-3ან)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| ისრაელი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| კვიპროსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-9 | 0 |

მერაბ მამულაშვილი

სავარაუდო ტრანსფერები

# ქართველები რუსეთში: რევიშვილი ადასტურებს, მარცვალაძე?..



ნუკრი რევიშვილს პრემიერლიგის გარიგებიც აქვს



ოთარ მარცვალაძე შეიძლება დინამოში დარჩეს

მერაბ მამულაშვილი

# აქტუალურ თემაზე



რატომ არ უნდა გაიზარდოს უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა

# ნემსი, ძაფი და ცოტა საღებავი

კობა ინასარიძე



ზესტაფონი

# ძველზე ლაპარაკობენ, გელაშვილზე ფიქრობენ, ილურიძეს ახსენეს

## გეგუჩაძემ ორი ლეგიონერი უკვე დაითხოვა



ნიკოლოზ გელაშვილი



ჯაბა დვალი



გიორგი ილურიძე

კობა ინასარიძე

ჩიხურა

# არ ვიცით, დავრჩებით თუ წავიდეთ...

## ფრუიძეს ჯერ კლუბის ბიუჯეტი აინტერესებს, მერე შემადგენლობა



სოსო ფრუიძე

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონერი



ბაჩანა ცხადაძე

# ბაჩანა ცხადაძე დასვენების უფლება არ მქონდა

## ინტერის მთავარი მეგოლე ახალ კონტრაქტს ადასტურებს

საქართველოს ნაკრებმა 23 მაისს ესპანეთში შეკრება დაიწყო და ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს: 29 მაისს, ესპანეთის ქალაქ ხერესში, „ჯვაროსნები" ამხანაგურ მატჩში საუდის არაბეთის ნაკრებს შეხვდებიან, 3 ივნისს კი, უკვე შვეიცარიაში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებს დაუპირისპირდებიან.

ამ ორი ამხანაგური მატჩისთვის **თემურ ქეცბაიამ** აზერბაიჯანის ჩემპიონატიდან ბაქოს „ინტერის" თავდამსხმელი **ბაჩანა ცხადაძეც** გამოიძახა, რომელიც სეზონში გატანილი 10 გოლით გუნდის მეორე ბომბარდირი გახდა.

„ვფიქრობ, საკმაოდ წარმატებული სეზონი იყო - ჩემთვისაც და გუნდისთვისაც. ვიცე-ჩემპიონები გავხდით, მე კი საკმაოდ ბევრი გავიტანე, პლუს ამას, მეტოქეთა კარი ევროპის ლიგაზეც ავილე და, რაც მთავარია, ნაკრებშიც მიძახებენ. ჩემთვის ეს ყველაზე დიდი სტიმულია", - ამბობს ცხადაძე.

წლეულს **კახა ცხადაძის** გაწვრთნილმა ბაქოს „ინტერმა" დიდი ნახტომი გააკეთა. 7 ტურის შემდეგ ბოლოდან მეორე ადგილზე იყო, ჩემპიონატი კი ვერცხლის მედლით დაასრულა:

„არ ვიცი, დასაწყისში ასეთი ჩავარდნა რას მივაწერო, მაგრამ ფაქტია, რომ 7 ტურის შემდეგ მხოლოდ 1 მოგება გვქონდა. იყო ლაპარაკი, რომ ზამთარში გუნდში სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდებოდა, კახას წასვლას კი ლამის გადაწყვეტილად თვლიდნენ. ისე, მამაჩემს თავადაც სურდა გარემოს შეცვლა, ერთ კლუბში უკვე მეხუთე წელია მუშაობს. მაგრამ თავმოყვარეობის ამბავი იყო, რომ სეზონი ღირსეულად გაგვეგრძელებინა და გუნდში დავილაპარაკეთ. მერე ყველა შეხვედრაზე ისე გავდიოდით, როგორც უკანასკნელზე, როგორც ფინალის მატჩზე. შედეგად ის მოხდა, რომ ლიდერებში დავწინაურდით და ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე პირველი ადგილის შანსიც გვქონდა. ამ ყველაფრის შემდეგ, ვიცე-ჩემპიონობითაც კმაყოფილები ვართ. სეზონის ბოლო შეხვედრის შემდეგ, სანამ გასახდელში ხელმძღვანელობა შემოვიდოდა, ბიჭები მარტო დავრჩით და ერთმანეთს მადლობა ვუთხარით, ამდენი რომ შევძელით".

„ინტერიდან" წამოსვლას თავად ბაჩანა ცხადაძეც აპირებდა, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალა: „არ დავმალავ, რომ მიუხედავად იმისა, მამაჩემი დარჩებოდა თუ არა მთავარ მწვრთნელად, პირადად მე ისრაელიდან და პოლონეთიდან საინტერესო შემოთავაზებები მქონდა და წასვლაზე სერიოზულად ვფიქრობდი. მაგრამ ბოლოს ყველაფერი ავწონ-დავწონე და ახალი კონტრაქტი 1+1 სისტემით გავაფორმე. აზერბაიჯანს საკმაოდ კარგად შევეწყვე, ჩემპიონატის დონეც გაიზარდა და თავს კარგად ვგრძნობ. ამაზე ჯერ კიდევ მაშინ შევთანხმდით, როცა კახას წასვლაზე იყო ლაპარაკი".

სანაკრებო შეკრებამდე დარჩენილი ერთი კვირა ცხადაძე არ გაჩერებულა: „ხომ იცით, სეზონის დასრულების შემდეგ ყველა ფეხბურთელს ერთი სული აქვს, როდის დაისვენებს, სახლში დაბრუნება და მონატრებული ადამიანების ნახვა სურს... მაგრამ ნაკრებში გამოძახებულს დასვენების უფლება არ მქონდა. თავად ვიყავი დაინტერესებული, შეკრებაზე ფორმაში მყოფი რომ ჩავსულიყავი. ამიტომ, თბილისშიც არ გავჩერებულვარ. იმედია, ამ ორ არაბულ ნაკრებთან მოვიგებთ და გულშემატკივრებს გავახარებთ".

**მერაბ მამულაშვილი**

● სავარაუდო ტრანსფერი

# ისიანს ისევ სიონში უხმეს

## გურიას ფორვარდი ბურდულის ინტერესს ადასტურებს და პასუხს აზერბაიჯანიდანაც ელოდება

ზოგი ჭირი რომ მარგებელია, ეს **ვილი ისიანის** მაგალითზეც მტკიდება. 23 წლის თავდამსხმელი სეზონის დაწყებამდე ბოლნისის „სიონიდან" გაუშვეს. რა დასამალია და, ამის საფუძველი არსებობდა - 2009 წლიდან, როცა ისიანი „სიონში" ჩაირიცხა, 2013 წლამდე კლუბის მაისურით ჩატარებულ 70 შეხვედრაში სულ 6 გოლი ჰქონდა გატანილი.



ვილი ისიანი

ცხადია, ოთხ სეზონში ასეთი დაბალი მაჩვენებელი თავდამსხმელის პოტენციალზე კარგად არ მეტყველებდა. ამიტომაც გაუშვეს ისიანი ბოლნისური კლუბიდან და სეზონის დაწყების დღეს ლანჩხუთის „გურიაში" ამოჩნდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ნაბიჯით ისიანს „სიონი" თავის გამოჩენაში დაეხმარა. 23 წლის ფეხბურთელი ათამაშდა და კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა - დასრულებულ ჩემპიონატში ორჯერ მეტი გაიტანა, ვიდრე წინა ოთხ ჩემპიონატში, ბომბარდირებში მე-3 პოზიციაზე ამოჩნდა და ვფიქრობთ, „ლელოს" მიერ დასახელებული საუკეთესო თავდამსხმელების ნომინაციაში ასევე მე-3 ადგილზე დამსახურებულად გავიდა.

ამით, ისიანმა „სიონის" მწვრთნელ **ლადო ბურდულის** გულიც მოიგო. ბოლნისელთა თავკაცმა მას მშობლიური ქალაქის გუნდში დაბრუნება და ევროპალიგაზე თამაში შესთავაზა.

„დიახ, „სიონიდან" შემოთავაზება მივიღე. მე და ბურდულმა გულახდილად ვილაპარაკეთ და ის ჩემი დაბრუნებით დაინტერესებულია, რაც ძალიან მახარებს. ბოლნისი ჩემი მშობლიური ქალაქია და მისი სახელით თამაში სხვა სტიმულია. კონტრაქტი თუ გაფორმდება, ნახევარწლიანი იქნება და დეკემბრამდე ვითამაშებ. არის კიდევ ორი ვარიანტი, მათ შორის - აზერბაიჯანიდანაც. ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. თუმცა, ვიმეორებ - გული „სიონისკენ" მიმიწევს. ბურდულმა ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბა და იმედია, თავს ევროპალიგაზეც არ შეირცხვენს", - ამბობს ისიანი.

ახალგაზრდა თავდამსხმელმა ლანჩხუთის „გურიაზეც" ილაპარაკა: „არ ვიცი, ლანჩხუთელებს მადლობა როგორ გადავუხადო. „გურიას" მთავარი მწვრთნელი დავით მახარაძე და კლუბის ხელმძღვანელობა გვერდში იმ დროს დამიდგნენ, როცა ეს ყველაზე მეტად მჭირდებოდა. ამისთვის მთელი ცხოვრება მათი მადლიერი ვიქნები. ლანჩხუთში გატარებული ერთი წელიწადი ჩემს კარიერაში უბედნიერესი დრო იყო. გული იმაზე მწყდება, რომ „გურიას" სასურველი პირობები და სტაბილური გარემო არ ჰქონდა. არადა, პირველ წრეში ძლიერი გუნდი გვყავდა და მისი შენარჩუნება ვერ მოხერხდა. იმ შემადგენლობით, სამეულისთვის ბრძოლაც იქნებოდა შესაძლებელი".

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები

# კანკავა ჩემპიონატის სიმბოლურში

საიტმა ua-football.com-მა უკრაინის ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები შეადგინა. სასიხარულოა, რომ რჩეულთა შორის ერთი ქართველი მოხვდა - „დნიპროს" საყრდენი ნახევარმცველი და საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ჯაბა კანკავა**.

„როტანთან ერთად, კანკავამ მოედნის შუაში ძალზე მძლავრი ტანდემი შექმნა. ეს ძალიან კარგად ჩანს ლიდერებთან მატჩში, როცა ჯაბა და რუსლანი სინქრონულად მოქმედებენ. დნიპროელთათვის სამწუხაროდ, გუნდმა საშუალო დონის გუნდებთან დაკარგა ქულები და ჩემპიონობის შანსი ფინიშის სწორზე. სეზონის ბოლოს ქართველი ფეხბურთელის თამაშიც არ იყო ისეთი ღირსშესანიშნავი, როგორც მანამდე, მაგრამ მთელ სეზონს თუ მივილებთ მხედველობაში, ჯაბა, რა თქმა უნდა, იმსახურებს ადგილს სიმბოლურ ნაკრებში", - წერს საიტი, რომელმაც უკრაინის ჩემპიონატის ლეგიონერთა სიმბოლური ნაკრებიც შეადგინა და კანკავა, რა თქმა უნდა, იქაც რჩეულთა შორის მოხვდა, განსხვავებით სხვა ქართველებისგან.

ამავე დროს, უკრაინულმა „ფუტბოლნი კლუბმა" დაასახელა სეზონის 33 საუკეთესო ფეხბურთელი - თითო პოზიციაზე სამ-სამი. საყრდენ ნახევარმცველებს შორის ჯაბა კანკავა პირველი ნომრით მოხვდა. სხვა ქართველი ლეგიონერი არც ამ სიაში ფიგურირებს.

### ამისულაშვილი კრილიადან მიდის

რუსული მედიის ცნობით, სამარის „კრილია სოვეტოვი", რომელიც პრემიერლიგიდან გავარდა, ისე შეიცვლება შემადგენლობის მხრივ, რომ ვერ ვიცნობთ. თითქმის გადაწყვეტილი ყოფილა სხვებთან ერთად გუნდის ერთ-ერთი კაპიტნის, **ალექსანდრე ამისულაშვილის** წასვლაც, რომელიც „კრილიას" I დივიზიონში არ გადაჰყვება.

შეგახსენებთ, რომ 31 წლის მცველი სამარაში 2013 წლის იანვარში გადავიდა, მანამდე ის „კრასნოდარში" გამოდიოდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ალექსანდრე ამისულაშვილი

● ბომბარდირი

# დინამოში თამაშის დიდი შანსია

**ბუდუ ზივზივაძემ** პირველი ლიგის „დინამო 2"-ში ჩინებული სეზონი ჩაატარა - **გია ცეცაძის** ფორმაციის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელმა 23 გოლი გაიტანა, უშუალო კონკურენტი **გიორგი ჩელებაძე** (22 გოლი) ჩამოიტოვა და ლიგის ბომბარდირი გახდა. აღსანიშნავია, რომ 20 წლის დინამოელს ეს 23 გოლი 21 შეხვედრაში დაუგროვდა.



ბუდუ ზივზივაძე ფოტო: fcdinamo.ge

„ახლა ქუთაისში ვისვენებ, მაგრამ მოუთმენლად ველი ახალი სეზონის დაწყებას. გასული ჩემპიონატი ჩემთვის საუკეთესო იყო - დიდებში ასე არასოდეს მითამაშია და ძალიან გახარებული ვარ. მწვრთნელები მენდობოდნენ, მათამაშებდნენ და გოლებიც გამქონდა. რაც მთავარია, მთელი სეზონი ტრავმის გარეშე ჩავატარე. როცა ჩემპიონატი მორჩა და გავიგე, რომ ბომბარდირი გავხდი, უზომოდ გამიხარდა. ახალგაზრდა თავდამსხმელს თავდაჯერებულობისთვის ეს ჰაერივით სჭირდება. იმედი მაქვს, ასე გავაგრძელებ. ისიც მაიმედებს, რომ „დინამოში" საუკეთესო პირობებია და თუ ფეხბურთი გიყვარს, აქ გაზრდა შეიძლება", - ამბობს ზივზივაძე.

საქართველოში ბევრი არ გვეგულება ნიჭიერი და გამტანი თავდამსხმელი. ბუნებრივი იქნებოდა, რომ წარმატებული სეზონის შემდეგ ზივზივაძით ქართული კლუბები დაინტერესებულიყვნენ. თუმცა 20 წლის დინამოელი საინტერესო წინადადებებით ჯერ არ გაუნებივრებიათ.

„ჯერჯერობით, საყურადღებო შემოთავაზება არ მიმიღია. დასამალი რა არის, ყველა ქართველი ევროპაში თამაშზე ოცნებობს და მეც მსურს, კარიერა უცხოეთში გავაგრძელო. მაგრამ ჯერ კონტრაქტი თბილისის „დინამოსთან" მაკავშირებს და აქ თამაშიც თავისთავად საამაყოა. რაც მთავარია, თავად კლუბს აქვს სურვილი, რომ ხელშეკრულება კიდევ 3 წლით გავახანგრძლივო და, შესაძლოა, ძირითად გუნდშიც გადამიყვანონ. ამ პერსპექტივამ ძალიან გამახარა. „დინამო" ყველაზე პოპულარული ქართული კლუბია და გამიხარდება, თუ მის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების შანსი მომეცემა. ვნახოთ, ვინ გახდება ახალი მთავარი მწვრთნელი და რა თვალით შემომხედავს", - გვითხრა ზივზივაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014. ამხანაგური მატჩები



ეპიზოდები ბელგიელთა ტრიუმფიდან

# სამუნდიალო ციებ-ცხელება გახსნილია!

## ლუკაკუს ჰეთთრიკი, იანუზაის დებიუტი და საშიში ბელგია

**ავსტრალია-ს. აფრიკა 1:1**

**გოლები:** 0:1 პატოსი (13), 1:1 კეჰილი (14)

**ავსტრალია (4-3-3):** რაიენი - ფრანიჩი (53. უილკშირი), უილკინსონი, მაკგოვანი, დევიდსონი - მილიგენი, ჰოლანდი (73. ბოჟანიკი), ტროისი (46. მაკეი) - ლეცკი, კეჰილი (62. ჰალორენი), ოორი (72. ვიდოშიჩი).

**რუსეთი-სლოვაკეთი 1:0**

**გოლი:** 1:0 კერჟაკოვი (82)

**რუსეთი(4-1-4-1):** აკინფეევი (74. ლოდიგინი) - იეშენკო (46. კოზლოვი), ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, კომბაროვი - დენისოვი - სამედოვი (75. იონოვი), ფაიზულინი (86. მოგილევეცი), ძაგოევი (46. კანუნიკოვი), შატოვი - კოკორინი (75. კერჟაკოვი)

**ჩერნოგორია-ირანი 0:0**

**ირანი:** აჰმადი, ბეიკზადე (16. პოოლადი), დეჟაგა (61. ჰაისაფი), ლოშანეჯადი (61. აზმუნი), ჰეიდარი (61. ჯაჰანბახში), ჰოსეინი (46. ბეიტაშური), მონტაზერი, ნეკუნამი, სადელი (68. ალენემეჰი), შოჯაეი, თეიმურიანი.

**მაკედონია-კამერუნი 0:2**

**გოლები:** 0:1 ვებო (52), 0:2 ჩუპო-მოტინგი (84)

**კამერუნი (4-5-1):** ნჯოკი (46. ნდი) - ნუნკეუ, ბედიმო, მატიპი, ჯოგე (74. ნკულუ) - ჩუპო-მოტინგი, ნგუემო (74. ნიომი), ა. სონგი, ...ინგა (81. მუკანჯო), ენო (86. ლოე) - ვებო (55. იდრისუ)

**ბელგია-ლუქსემბურგი 5:1**

**გოლები:** 1:0 ლუკაკუ (3), 1:1 ჟოაკიმი (13), 2:1 ლუკაკუ (23), 3:1 ლუკაკუ (54), 4:1 ჩადლი (71), 5:1 დე ბრუინი (91-ე წუთი)

**ბელგია (4-1-4-1):** ბოსუტი - ალდერვეირელდი (46. ვანდებ ბორი), კომპანი (46. ვან ბუიტენი), ვერმალენი, ვერტონგენი (77. ლომბერტსი) - ვიტსელი (46. დეფური) - მირალასი (46. ჩადლი), ფელაინი, დე ბრუინი, აზარი (46. იანუზაი) - ლუკაკუ (61. ორიჟი)

**იაპონია-კვიპროსი 1:0**

**გოლი:** 1:0 უჩიდა (43)

**იაპონია (4-2-3-1):** კავაშიმა - უჩიდა (46. საკაი), კონო (46. იოშიდა), მორიშიგე, ნაგატომო (78. ინოჰო) - ენდო (46. ჰასებე), იამაგუჩი - ჰონდა, ოკაზაკი (70. კიოტაკე), კაგავა - კაკიტანი (58. ოკუბო)

**საფრანგეთი-ნორვეგია 4:0**

**გოლები:** 1:0 პოგბა (15), 2:0 ჟირუ (51), 3:0 რემი (67), 4:0 ჟირუ (69)

**საფრანგეთი (4-2-3-1):** რუფე - დებუში, კოშელნი, სახო, ევრა (46. დინი) - მატუიდი (74. მავუბა), კაბაი (80. კაბელია) - ვალბუენა (70. გრენიე), პოგბა (46. მ. სისოკო), გრიზმანი (65. რემი) - ჟირუ

### უახლოესი ამხანაგური მატჩები მუნდიალის მონაწილეთა შესრულებით

28 მაისი: კორეა-ტუნისი, ნიგერია-შოტლანდია, მექსიკა-ისრაელი

29 მაისი: კამერუნი-პარაგვაი, ჰონდურასი-თურქეთი

30 მაისი: ბოსნია-კოტ დივუარი, ირანი-ანგოლა, შვეიცარია-იამაიკა, ინგლისი-პერუ, ესპანეთი-ბოლივია, ურუგვაი-ჩრდ. ირლანდია, ჩილე-ეგვიპტე

**სამუნდიალო** ციებ-ცხელება გახსნილია! მონაწილე გუნდებმა ამხანაგური მატჩების გამართვას უხშირეს, მწვრთნელები ბრაზილიური ფორუმის წინ უკანასკნელ ექსპერიმენტებს ატარებენ.

### ვარსკვლავეთს ერთი ვარსკვლავი აკლდა

გენკი, „კრისტალ არენა“, 16 ათასი გულშემატკივარი - აქ **მარკ ვილმოტსის** საინტერესოზე საინტერესო კრებულმა მეზობელ ლუქსემბურგზე გაივარჯიშა - 5:1 დაამარცხა. ვილმოტსს კიდევ რჩება მუნდიალამდე ორი ამხანაგური მატჩი, შვედეთთან და ტუნისთან და „წითელი ეშმაკების“ ძალა ალბათ, იმ ორ თამაშში უფრო გამოჩნდება, მაგრამ ერთი რამ ცხადია - ამ ბელგიასთან ერთად ეს მუნდიალი გაცილებით საინტერესო იქნება, ვიდრე უმისოდ.

რით არის საინტერესო დღევანდელი ბელგიის ნაკრები? პირველ რიგში, შემადგენლობით. ავიღოთ თუნდაც „ჩელსის“ ფორვარდი **რომელუ ლუკაკუ**, რომელმაც საფეხბურთო სამყაროს სალუტი საათზე ნაკლებ დროში შესრულებული ჰეთთრიკით გაუგზავნა. ეს მისი პირველი ჰეთთრიკია ეროვნულ ნაკრებში. მის გარდა ლუქსემბურგს „ტოტენჰემის“ **ნასერ ჩადლიმ** და „ვოლფსბურგის“ **კევინ დე ბრუინმა** გაუტანეს.

ყველაზე საინტერესო კი შესვენებაზე მოხდა, როცა მარკ ვილმოტსმა ძალზე ნიჭიერი **ედენ აზარი** არანაკლები პერსპექტივის მქონე **ადნან იანუზაით** შეცვალა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავმა ბელგიის ნაკრების ფორმა პირველად მოირგო! თითქოს, ნიჭიერი ფეხბურთელი აკლდა ბელგიის ნაკრებს და კიდევ ერთი შეიძინა...

*„ჩემი თამაში ერთი შეხება, დრიბლინგი და პუბლიკის მოხიბვლაა. არ მეშინოდა, რადგან მანჩესტერში 80 ათასი გულშემატკივრის წინაშე მითამაშია. ძალიან ბედნიერი ვარ ჩემი დებიუტით“*, - განაცხადა 19 წლის იანუზაიმ, რომელიც ალბანური წარმოშობისაა, მაგრამ ბრიუსელშია დაბადებული. მას შეეძლო ალბანეთის, კოსოვოს და ინგლისის ნაკრებში თამაშიც, მაგრამ საბოლოოდ ბელგია აირჩია.

*„ის ნაკრებს მეტ სიღრმეს შესძენს, თუმცა მინდა ვთქვა, რომ შემადგენლობაში მოხვედრისთვის ადნანს დიდი ბრძოლა მოუწევს“*, - განაცხადა ბელგიელთა თავკაცმა.

**კურტუა, დემბელე, მერტენსი, მინიოლე** („ლივერპულის“ გოლკიპერს კუნთი აქვს დაჭიმული) - ეს იმ ფეხბურთელთა ჩამონათვალია, რომლებიც ვილმოტსმა ლუქსემბურგთან არ ათამაშა - დასკვნები თქვენთვის მოგვინდვია.

### ისევ ბებერი ხარი

სანკტ პეტერბურგში **ფაბიო კაპელომ** რუსეთის ნაკრები სლოვაკეთთან თამაშში ექსპერიმენტული შემადგენლობით გაიყვანა. გუნდს კი ისევ ვეტერანმა მოაგებინა - ერთადერთი გოლი შეცვლაზე შესულმა **ალექსანდრ კერჟაკოვმა** გაიტანა. კაპიტანი **რომან შიროკოვი** თამაშს ტრავმის გამო ტოვებდა.

პირველ ტაიმში ინგლისელმა რეფერმა **მარკ კლატენბურგმა ალექსანდრ კოკორინის** გოლი გააუქმა, რადგან „დინამოს“ ფეხბურთელმა თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა.

კერჟაკოვმა ნაკრებში 25-ე გოლი შეაგდო, ორიც და ის რუსეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი იქნება.

### მკვლელი მაკრატელა

ავსტრიაში, მაკედონიისა და კამერუნის ნაკრებთა ამხანაგური მატჩის მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა **პიერ ვებომ** ულამაზესი მაკრატელადარტყმით ანგარიში გახსნა, მაგრამ სიხარულმა წამებიც არ გასტანა - „ფენერბაჰჩეს“ ფორვარდი ძალზე ცუდად დაეცა და მხარი სერიოზულად დაიშავა. სავარაუდოდ, მისთვის მუნდიალი დასრულებულია, ისე, რომც არ დაიწყო.

კამერუნის ნაკრებმა 2:0 მოიგო, შეხვედრის დასრულებამდე 8 წუთით ადრე **მაქსიმ ჩუპო-მოტინგმა** ისე გაიტანა არაფერი სტკენია. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელმა კამერუნელთა მთავარი ვარსკვლავი **სამუელ ეტოო** დაასვენა.

სიდნეიში ავსტრალიის ნაკრებმა ვერ გაახარა 50 ათასი გულშემატკივარი, ის კი არა ვეტერან **ტიმ კეჰილის** გოლამდე სამხრეთ აფრიკის ნაკრები იგებდა. ფრედ ითამაშა ირანმაც, ავსტრიაში აზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები 0:0 დაუზავდა ჩერნოგორიას.

ამხანაგური მატჩები გამართეს ისეთმა ნაკრებებმაც, რომლებიც მუნდიალზე ვერ მოხვდნენ - ნიუ ჯერსიში (აშშ) სერბეთის ნაკრებმა 2:1 მოუგო იამაიკას. სერბთა მხრიდან თავი გამოიჩინეს **დუშან ტადიჩმა** და **ალექსანდარ კოლაროვმა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



პიერ ვებოს მაკრატელა, რომელმაც ალბათ ფორვარდის სამუნდიალო ოცნება დაასრულა

## ამბები

### პოჩეტინიო ტოტენჰემში დაინიშნა

**მაურისიო პოჩეტინიო** ლონდონის „ტოტენჰემის“ მთავარი მწვრთნელია. „დეზებს“ დიდი მოლოდინის მიუხედავად, არც ისე წარმატებული სეზონი ჰქონდათ. **ანდრე ვილაშ ბოაშის** ნაცვლად მოსულმა **ტიმ შერვუდმა** სიტუაციის რადიკალურად გამოსწორება ვერ მოახერხა და ამიტომაც, ისიც დაითხოვეს. პოჩეტინიომ კი „საუთჰემპტონში“ მუშაობით ისევ დიდი სიმპათია დაიმსახურა. „წმინდანებმა“ პრემიერლიგაში თავიანთ ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენეს და სეზონი მე-8 ადგილზე დაასრულეს. 42 წლის სპეციალისტმა „ტოტენჰემთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

*„ეს არის გუნდი, რომელსაც დიდი ისტორია აქვს. ჩემთვის პატივია „ტოტენჰემის“ მწვრთნელობა. კლუბში არაერთი მაღალი კლასის ფეხბურთელია და ერთი სული მაქვს, როდის შევუდგები საქმიანობას“* - განაცხადა პოჩეტინიომ.

### ეტოო მეტ ჰონორარს ითხოვს

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, კამერუნის ნაკრების ბანაკში გარკვეული დაძაბულობაა. როგორც ირკვევა, **სამუელ ეტოოს** თამადობით, რამდენიმე ფეხბურთელი ფედერაციაზე განაწყენებული და გაბრაზებულია იმის გამო, რომ ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშისათვის მცირე ჰონორარს მიიღებენ. 33 წლის ფორვარდი თანამოაზრეებითურთ ჰონორარის გაზრდას ითხოვს. ვნახოთ, რას გადაწყვეტენ კამერუნის ფეხბურთის ფედერაციაში, ხოლო ჩვენ ის გავიხსენოთ, რომ ნაკრები ჯგუფში ბრაზილიასთან, ხორვატიასა და მექსიკასთან ერთადაა.

### პერესი რეალს ისევ გააძლიერებს

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი ლუის სუარესისადმი** ინტერესს არც უარყოფს და არც ადასტურებს. სამაგიეროდ, პერესმა თქვა, რომ გუნდის გაძლიერებას გააგრძელებს.

*„მე მომწონს კარგი ფეხბურთელები, განსაკუთრებით „რეალის“ ფეხბურთელები, ისინი ყველა მიყვარს. ლუის სუარესი? ბევრი კარგი მოთამაშეა, ჩვენ გავაგრძელებთ გუნდის გაძლიერებას“* - განაცხადა „სამეფო გუნდის“ პრეზიდენტმა.

### ბაიერნს გოდინი მოუნდა

მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარ სამიზნედ „ატლეტიკოს“ 28 წლის მცველი **დიეგო გოდინი** იქცა. 28 წლის ურუგვაელი ბოლო პერიოდში ბრწყინვალედ ბურთაობდა, ხოლო „ბაიერნის“ ერთ-ერთი უპირველესი მიზანი დაცვის გაძლიერებაა. თუ გოდინის შეძენა არ მოხერხდება, **ხოსეპ გვარდიოლას** სათადარიგო ვარიანტებიც მოუმზადებია, საუბარი ასევე ლა ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებზეა - „ბილბაოს“ **ემერიკ ლაპორტზე**, „რომას“ **მეჰდი ბენატიასა** და „ბარსელონას“ **მარტინ მონტოიაზე**.

გარდა ამისა, ოფიციალურად დადასტურდა ის ფაქტი, რომ „ბაიერნი“ **დანიელ ვან ბუიტენთან** ახალ კონტრაქტს აღარ გააფორმებს. 36 წლის ბელგიელმა შესაძლოა, სათამაშო კარიერის დასრულება გადაწყვიტოს და კლუბში რომელიმე პოსტი დაიკავოს.

### ვერონამ იტურბე იყიდა და გაყიდის?

იტალიურმა „ვერონამ“ **ხუან იტურბე** „პორტუდან“ გამოისყიდა. გასული სეზონი 20 წლის არგენტინელმა „ვერონაში“ იჯარის წესით, გაატარა და მშვენივრად ითამაშა, იგი გუნდის ერთერთი ლიდერი გახლდათ, 33 შეხვედრა ჩაატარა, 8 გოლი გაიტანა და 7 საგოლე პასიც გააკეთა. 20 წლის არგენტინელი შემტევით „რეალია“ დაინტერესებული და როგორც ამბობენ, გამორიცხული არ არის, „ვერონამ“ იგი სამეფო გუნდს მიჰყიდოს, თუ მადრიდელები 25 მილიონ ევროს გადაიხდიან. თავად „ვერონას“ იტურბეს ტრანსფერი ჯამში 15 მილიონი დაუჯდა.



ხუან იტურბე

### ჰამბურგმა შტებერი დაიმატა

გერმანულმა „ჰამბურგმა“ იმ კლუბისგან, რომელთან ორრაუნდიან ჭიდილშიც ცოტა ხნის წინ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება მოახერხა ანუ „ფიურტისგან“ ფეხბურთელი იყიდა. ეს ფეხბურთელი 25 წლის შემტევი ნახევარმცველი **ზოლტან შტებერია**. უნგრელმა თავის ახალ გუნდთან კონტრაქტი 2017 წლის ზაფხულამდე გააფორმა.

### ბალანტა ნაპოლიში?

კოლუმბიის ნაკრებისა და „რივერ პლეიტის“ მცველი **ედერ ალვარეს ბალანტა** შესაძლოა, „ნაპოლიში“ აღმოჩნდეს. 21 წლის ფეხბურთელს „ბარსელონასა“ და სხვა კლუბებს უკავშირებდნენ, მაგრამ ახლა მისდამი რეალურ ინტერესს ნეაპოლიტანელები გამოხატავენ. იტალიური კლუბის სპორტული დირექტორი **რიკარდო ბიგონი** უკვე ესაუბრა ამ თემაზე გუნდის მთავარ მწვრთნელს **რაფაელ ბენიტესს**. ვნახოთ, რას გადაწყვეტს „ნაპოლი“.

### დროგბა იუვეს ელაპარაკება

„გალათასარაიდან“ წამოსული **დიდიე დროგბა** თავისუფალი აგენტია და ახალ კლუბს ეძებს. ვეტერანი ივუარელის ერთ-ერთი მთავარი მსურველი ტურინის „იუვენტუსია“, რომელიც დროგბას დამატებას იქამდეც ცდილობდა, სანამ ფეხბურთელი თურქულ გუნდში აღმოჩნდებოდა, მაგრამ იმდენი არ გადაიხადა, რამდენიც „გალამ“. გავრცელებული ცნობით, ახლა „იუვე“ დროგბას ერთწლიან კონტრაქტს და 4 მილიონ ევროს სთავაზობს, მაგრამ თავად თავდამსხმელს ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურს.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ბრენდან როჯერსი

# ნასვლა ნამითაც არ მიფიქრია

„ლივერპულმა“ ბოლო დღეებში ორი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტა: მთავარ მწვრთნელთან კონტრაქტი გააგრძელა და ამას გარდა წინასასეზონო მზადების გეგმა გამოაქვეყნა. მერსისაიდელები 19 ივლისს პირველ ამხანაგურ შეხვედრას „პრესტონის“ წინაალმდეგ ჩაატარებენ. მათი თამაშები უკვე ერთგვარ ტრადიციად იქცა. გუნდები ერთმანეთს შარშანაც შეხვდნენ ბილ შენკლის დაბადებიდან 100 წლის აღსანიშნავად. ვიცე-ჩემპიონი ამის შემდეგ ჩრდილოამერიკულ ტურნეში ჩაებმება, სადაც „რომას“, „ოლიმპიაკოსს“, „მანჩესტერ სიტისა“ და „მილანს“ შეხვდება. ამ თემაზე წერას აღარ განვაგრძობთ. ქვემოთ უკვე ბრენდან როჯერსთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ, რომელიც 42 წლის სპეციალისტმა „ლივერპულის“ ვებგვერდს მისცა:



„ლივერპულის“ თავკაცი ბრენდან როჯერსი

**- გილოცავთ ახალ კონტრაქტს.**

- ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ „ენფილდზე“ კიდევ დიდი ხნით ვრჩები. მიხარია, რომ გუნდის ეტაპობრივი შენებისა და წინა წლებში ჩაყრილი საფუძვლის განმტკიცების შანსი მექნება.

**- ამბობდით, რომ სეზონის დასრულებამდე არ გსურდათ ახალ ხელშეკრულებაზე ფიქრი.**

- ხელმძღვანელობასთან ახალ კონტრაქტს კი განვიხილავდი, თუმცა ჩემი ძირითადი ყურადღება გუნდისკენ იყო მიმართული. ჩემი და ფეხბურთელების უპირველესი ამოცანა გახლდათ სეზონის წარმატებულად დასრულება. ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვანი იყო. მოლაპარაკებათა პროცესი გართულების გარეშე წარიმართა. მომეწერა თუ არა ხელი, ამაზე ნამითაც კი არ მიფიქრია.

**- თქვენი დანიშვნის შემდეგ „ლივერპულის“ პროგრესი რამდენად აშკარაა?**

- გუნდში შექმნილი ატმოსფეროთი კმაყოფილი ვარ. მიმაჩნია, რომ ეს ფაქტორი ერთ-ერთი მთავარი წინა პირობაა წარმატებების გზაზე. ჩემი ნებისმიერი ფეხბურთელით ვამაყობ და თითოეულს ვენდობი. განვითარების ახალ ეტაპზე გადავდივართ, როცა ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პარალელურად ჩემპიონატის მოგებაზე უნდა ვიზრუნოთ. რაკი გასულ სეზონში კონკურენტუნარიანები ვიყავით, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც შევძლებთ ამას.

**- ჩემპიონთა ლიგის მატჩებისგან რას ელოდებით?**

- ევროტურნირების შეხვედრებისას ჩვენს გულშემატკივარს განსაკუთრებული მხარდაჭერა სჩვევია. ფეხბურთელებს ეს ევროპალიგის მატჩებიდან ეხსომებათ. ჩემპიონთა ლიგა კი სულ სხვა დონეა.

**- „ლივერპულის“ მესაკუთრეები კმაყოფილები ჩანან თქვენთან ახალი კონტრაქტით. რამდენად მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა?**

- იმ ყველაფერში, რასაც მივაღწიეთ, მათი დამსახურება დიდია. გუნდი საკმაოდ ახალგაზრდამ ჩავიბარე და საკმარისი დრო მივიღე ჩემი იდეების განსახორციელებლად. მათი ნდობა ჩემ მიმართ მუდამ შეურყეველი იყო. ჩვენ შორის შესანიშნავი საქმიანი, ამასთან მეგობრული ურთიერთობები ჩამოყალიბდა. მესაკუთრეთა ფაქტორი რომ არა, მე აქ ნამდვილად არ ვიქნებოდი.

**- უახლოეს სატრანსფერო გეგმებზე მოგვიყევით.**

- წინ ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატია, შემდეგ სეზონის წინა მოსამზადებელი ეტაპი. „ლივერპულის“ მოთამაშეთა ნაწილს შვებულება სჭირდება კიდევ ერთი რთული სეზონის დაწყებამდე. სკაუტები, იან ეირი (გენერალური დირექტორი. რედ) და მე დასვენებას არ ვგეგმავთ. ჩვენ ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით გეგმების ჩამოყალიბებას ვაპირებთ. გვესმის, რომ იოლი მოსაგვარებელი არც ერთი გარიგება არ იქნება, თუმცა ისიც აშკარაა, რომ გუნდს სჭირდება შემადგენლობის შევსება.

**- გულშემატკივარს რას ეტყოდით?**

- უპირველესად გუნდის სახელით ფანებს მადლობას ვეტყვი მოთმინებისთვის, რადგან მათი მხარდაჭერა ჩვენთვის ყოველთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. ისინი მსოფლიოში საუკეთესო გულშემატკივრები არიან, რადგან სხვებზე უკეთ ერკვევიან ფეხბურთში. ტრიბუნებიდან ჩემი სახელის თითოეული დაძახილი სიამაყით მავსებს. ქუჩაში შეხვედრისას ისინი ჩემს საქმიანობას უმეტესად დადებითად აფასებენ და გუნდს მიქებენ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ურთიერთობა ასეც გაგრძელდება და ყველანი ერთად გავხდებით „ლივერპულის“ წარმატების მოწმენი.

მანჩესტერ იუნაიტედი

# რეპრესიების მორიგი ტალღა იუნაიტედში

რამდენიმე დღის წინ ვწერდით „მანჩესტერ იუნაიტედის“ იმ ფეხბურთელებზე, რომელთა კონტრაქტებსაც ვადა გაუვიდა და ვისთანაც კლუბმა თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვა. ამჯერად კი ინფორმაცია ეხება იმათ, ვისაც „ეშმაკები“ ტრანსფერზე დაყენებას უპირებენ. ასეთთა შორის დასახელდნენ **ხავიერ ერნანდესი, ნანი, ტომ კლევერლი** და **ანდერსონი** („ფიორენტინამ“ საიჯარო ხელშეკრულების დასრულების შემდეგ ბრაზილიელის ტრანსფერის გამოსყიდვაზე უარი თქვა). „იუნაიტედი“ ყურადღებით შეისწავლის ასევე **მარუან ფელაინით, ეშლი იანგითა** და **ვილფიდ ზაჰათი** დაინტერესებული კლუბების წინადადებსაც.

სამაგიეროდ გუნდის ახალდანიშნული მთავარი მწვრთნელი რამდენიმე თანამემამულით დაინტერესდა. **ლუი ვან გაალისთვის** ჰოლანდიელ ფეხბურთელებზე დაყრდნობა უცხო არ არის. თუ გახსოვთ, ამ მხრივ ის განსაკუთრებით „ბარსელონაში“ გამოირჩეოდა. „ოლდ ტრეფორდზე“ მას **რობინ ვან პერსი** და **ალექსანდერ ბიუტნერი** ხვდებიან. ამას გარდა შესაძლოა „ოცნებათა თეატრში“ ამოყონ თავი „ფეიენოორდისა“ და ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელებმა **იორდი კლასიმ** (22 წლის მცველი) და **მარტინს ინდიმ** (22, ნახევარმცველი).



„მანჩესტერ იუნაიტედი“ იორდი კლასით დაინტერესდა

სავარაუდო ტრანსფერი




ლუის სუარესს საკუთარი თავი მხოლოდ „ენფილდზე“ წარმოუდგენია

# სუარესი ტორესს ეხმაურება

„რეალის“ მიერ ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგის მეათედ მოგებამდე იწერებოდა უცხოურ გამოცემებში, რომ „სამეფო კლუბს“ თავდასხმის გაძლიერება ჰქონდა დაგეგმილი. მადრიდელთა უპირველესი არჩევანი კი საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენდა. „ლოს ბლანკოსი“ **ლუის სუარესის** შეძენას ჯერ კიდევ 2013 წლის ზაფხულზე ცდილობდა, მაგრამ ინგლისელები ვერაფრით აცდუნა. შარშან დეკემბერში კი 27 წლის ურუგვაელმა „ლივერპულთან“ 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. საუბრები თავდამსხმელის სავარაუდო ტრანსფერზე წელს კიდევ ერთხელ დაიწყო. ითქვა, რომ პირენეელები 100 მილიონი ფუნტის გადახდაზეც კი ყაბულს იყვნენ. ფეხბურთელს, ვინც ამჟამად ნაოპერაციევ მუხლს მკურნალობს, სპეკულაციები ყელში ამოუვიდა და განაცხადა, რომ „ენფილდიდან“ წასვლაზე ერთი წამითაც არ ფიქრობს, მეტიც, მომდევნო სეზონში მას მერსისაიდელთა ჩემპიონობის იმედი აქვს. შეგირდის პოზიციას იზიარებს „წითლების“ თავკაცი **ბრენდან როჯერსიც**.

ზემოთ სუარესის ტრავმა ვახსენეთ. ამ თემაზე უფრო ფართოდ ახლა მოგახსენებთ: ურუგვაელთა სამედიცინო შტაბი ერთმნიშვნელოვნად ჯერაც არ ადასტურებს, შეძლებს თუ არა სამხრეთამერიკელთა უმთავრესი ვარსკვლავი მუნდიალზე ასპარეზობას. *„სუარესის ტრავმის სარეაბილიტაციო პროცესზე ოპერაციის შემდგომ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე უკვე მოგახსენეთ. მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ჩემპიონატზე ლუისის თამაში ნამდვილად არ არის გამორიცხული. ამ ეტაპზე ფეხბურთელის მოედანზე დაბრუნების კონკრეტული თარიღის დასახელება უმადური საქმე იქნებოდა, რადგან 100%-ით რაიმეს მტკიცება შეუძლებელია. ისე, პროცესი გეგმის მიხედვით მიდის. გართულებას არ ველოდებით. თავად ფეხბურთელი შესანიშნავ განწყობაზეა. მისი თქმით, თავს სულ უფრო უკეთესად გრძნობს, რადგან ტკივილი თითქმის გაქრა,“* - განაცხადა ნაკრების სამედიცინო შტაბის ხელმძღვანელმა **ალბერტო პანამ**.

ამბები

## დარღვევები ბრაზილიურ სასტუმროებში

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ორ კვირაზე ცოტა მეტი დარჩა. შესაბამისმა ორგანოებმა რიო დე ჟანეიროში სუპერმარკეტების, მაღაზიებისა და სასტუმროების ინსპექტირება დაიწყეს, რათა, ელემენტარულს რომ თავი დავანებოთ, ყველაზე უხეში დარღვევები აღმოეჩინათ. შედეგად გაირკვა, რომ რიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული (!) სასტუმრო, სადაც იტალიის ნაკრები აპირებს დაბანაკებას, მაცივრებში 50 კილოგრამზე მეტ ვადაგასულ პროდუქტს ინახავდა. განადგურდა ის პროდუქციაც, რომელსაც დამზადების კონკრეტული თარიღი მითითებული საერთოდ არ ჰქონდა. ბევრად უკეთესი მდგომარეობა აღმოჩნდა იმ სასტუმროში, სადაც ინგლისის ნაკრები გაჩერდება, თუმცა კანონდარღვევები იქაც დაფიქსირდა. საერთო ჯამში 13 ობიექტიდან 8 წესის დამრღვევთა შორის აღმოჩნდა. სანიტარულმა ინსპექციამ ყველა მათგანს საკუთარი შენიშვნები გადაუგზავნა.

## რედინგი ერთ ფუნტად იყიდება

„რედინგ ქრონიკლის“ ინფორმაციით, ჩემპიონშიპის ბინადარ „რედინგის“ რუსმა მილიარდერმა მესაკუთრე **ანტონ ზინგარევიჩმა** დაადასტურა, რომ კლუბს, რომელიც მან სულ რამდენიმე წლის წინ წინ შეისყიდა, დაინტერესებულ ბიზნესმენებს 1 ფუნტად დაუთმობს. სიმბოლური თანხის გარდა, გარიგების მონაწილეს ბერკშირელთა 38-მილიონიანი ვალის გადახდაც მოუწევს. იმავე წყაროს ცნობით, მოლაპარაკებები ებრაელ **ტედი საგისთან** და ინდოელ **მოჰიტ ბურმანთან** უკვე დაწყებულია.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ფეხბურთი და ბიზნესი




„ბაიერნის“ საფეხბურთი ნიშანი ბოლო ორი წელია, მსოფლიოში ყველაზე წარმატებულია

დამოუკიდებელმა ბრიტანულმა საკონსალტინგო კომპანია „ბრენდ ფაინანსმა“ 2014 წლის ყველაზე წარმატებული საფეხბურთო ბრენდების სახელები გამოაქვეყნა. ისევე როგორც შარშან, ლიდერი ამჯერადაც მიუნხენის „ბაიერნია“. რეკორდმაისტერის ღირებულებამ 36 მილიონი დოლარით მოიმატა, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, თუმცა მიუნხენელთა მატება ნამდვილად არ არის სარეკორდო. არნახულად არის მომატებული „რეალის“ ღირებულება - შარშანდელს აქეთ მთელი 147 მილიონით. კიდევ უფრო წარმატებული აღმოჩნდა „მანჩესტერ სიტის“ შედეგი - პლუს 178 მილიონი. კლუბის ბრენდის ღირებულება თითქმის გააორმაგა მადრიდის „ატლეტიკომ“, თუმცა „როხიბლანკოს“ ჩამორჩენა მაინც სოლიდურია. ამ მხრივ სარეკორდო ნახტომი გამოუვიდა „პარი სენ-ჟერმენს“, 2013 წლის 85-დან 324 მილიონამდე, რისი წყალობითაც ათეულში ამოყო თავი. სიაში არიან ის გუნდებიც, რომელთა კაპიტალმა მკვეთრად იკლო, თუმცა ლიდერთა შორის ადგილი მაინც შეინარჩუნეს. მაგალითად, მთელი 98 მილიონით გაღარიბდა „მანჩესტერ იუნაიტედი“.

აქვე გამოვყოფთ ერთ კანონზომიერებას: საუკეთესო 50 გუნდში ყველაზე მეტი ინგლისური გუნდია (14), კუნძულელებს კვალში მისდევენ გერმანელები (8), ესპანელები (6) და იტალიელები (5). აქვე შემოგთავაზებთ ყველაზე მდიდარი ბრენდების ოცეულს. გუნდის პირისპირ მოცემული იქნება მისი ამჟამინდელი ღირებულება, ფრჩხილებში კი შარშანდელი. თუკი დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ოცეულის წევრთა უმრავლესობის ბრენდი წელს უფრო ძვირად ფასობს.

| გუნდი | ქულა |
|---|---|
| 1. ბაიერნი | 896 (860) |
| 2. რეალი | 768 (621) |
| 3. იუნაიტედი | 739 (837) |
| 4. ბარსელონა | 622 (572) |
| 5. სიტი | 510 (332) |
| 6. არსენალი | 505 (410) |
| 7. ჩელსი | 502 (418) |
| 8. ლივერპული | 469 (361) |
| 9. დორტმუნდი | 327 (260) |
| 10. პსჟ | 324 (85) |
| 11. შალკე | 313 (259) |
| 12. ტოტენჰემი | 248 (219) |
| 13. იუვენტუსი | 247 (180) |
| 14. მილანი | 236 (263) |
| 15. ინტერი | 152 (151) |
| 16. აიაქსი | 149 (162) |
| 17. გალათასარაი | 141 (116) |
| 18. ჰამბურგი | 138 (144) |
| 19. ატლეტიკო | 126 (67) |
| 20. ევერტონი | 121 (78) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. რომან ვაიდენფელერი

# თუ რამეა, მზად ვარ!

## ბაიერნელებს და დორტმუნდელებს შორის დაპირისპირება არსებობს, მაგრამ მტრობაზე ლაპარაკი ზედმეტია



რომან ვაიდენფელერი

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს: რომან ვაიდენფელერი უკვე 33 წლისაა, მაგრამ გერმანიის ნაკრებში ჯერ მხოლოდ ერთადერთი მატჩი აქვს ჩატარებული. მიუხედავად იმისა, რომ წლებია, დორტმუნდის „ბორუსიას" მეკარე უმაღლეს დონეზე თამაშობს და ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გოლკიპერად მიიჩნევა, ბუნდესგუნდში მხოლოდ გასული წლის ნოემბერში ათამაშეს, თუმცა გერმანიის ნაკრების თავკაცმა იოახიმ ლიოვმა სამუნდიალე განაცხადში შეიყვანა და ფაქტია, რომ ბრაზილიაში მეორე მეკარის რანგში მიჰყავს. მეტიც: რაკი ბუნდესგუნდის პირველ ნომერ მანუელ ნოიერს ჯერ კიდევ ტრავმა აწუხებს, ვაიდენფელერს იმის იმედიც გაუჩნდა, რომ შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანელთა პირველი მეკარეც გახდეს. „შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში რომანი გერმანიის ნაკრების ამბიციებსა და „ბაიერნისა" და „დორტმუნდს" შორის მტრობაზე საუბრობს.

**- ჰერ ვაიდენფელერ, გერმანიის ნაკრებში მხოლოდ ერთი მატჩი გაქვთ ჩატარებული, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიემგზავრებით. ოცნება გვიან აგიხდათ...**

- ეს გარკვეულწილად მართლაც სენსაციაა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თუნდაც მეორე მეკარის რანგში წასვლა ნამდვილად დავიმსახურე. ამით ჩემი კარიერა სრულყოფილი ხდება. თანაც, მუნდიალზე ბრაზილია მასპინძლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაკუთრებული საფეხბურთო ზეიმი გველოდება.

**- უკვე 33 წლის ხართ, გერმანიის ნაკრების ფორმა კი პირველად ახლახან, ნოემბერში ინგლისთან ტესტ-მატჩში მოირგეთ. როდიდან აღარ გეპარებოდათ ეჭვი იმაში, რომ ლიოვი განაცხადში შეგიყვანდათ?**

- ალბათ მაინც წლის დასაწყისში. როცა ლიოვმა ჩილესთან თამაშისთვისაც გამომიძახა, მივხვდი, რომ ბრაზილიაში მეც წავიდოდი, რადგან ეს უკვე ძალიან პოზიტიური სიგნალი გახლდათ. თუმცა სანამ იოგიმ გაფართოებული სია არ გამოაქვეყნა, დარწმუნებული არაფერში ვიყავი.

**- მანუელ ნოიერს მხრის ტრავმა აწუხებს და მოსამზადებელ შეკრებაზე გუნდს გვიან შემოუერთდა. მანუს ელაპარაკეთ? როგორ ფიქრობთ, მოასწრებს გამოჯანმრთელებას?**

- ნოიერს შაბათს ვესაუბრე. ასეთი ტრავმა ადრე მეც მქონდა და ჩემი გამოცდილება გავუზიარე. ვფიქრობ, რომ ნოიერი მსოფლიოს ჩემპიონატზე სტარტამდე მწყობრში ჩადგომას მოასწრებს. მხრის ტრავმა ხუმრობა არ გეგონოთ - მხარი ნებისმიერი მოძრაობისას იძაბება.

**- თუ ისე მოხდა, რომ მანუელმა გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო, საკუთარი თავის იმედი გაქვთ?**

- როგორც უკვე ვთქვი, მგონია, რომ ნოიერი გამოჯანმრთელებას მოასწრებს და სწორედ ამას ვუსურვებ. თუ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა და მანუმ თამაში ვერ მოახერხა, მე, რა თქმა უნდა, ყველანაირად მზად ვარ.

**- უკვე ცნობილია, ვინ ჩადგება კარში კამერუნთან და სომხეთთან ამხანაგურ შეხვედრებში?**

- არა, ეს ჯერ არ ვიცით.

**- გერმანიის თასის ფინალის შემდეგ „დორტმუნდის" და „ბაიერნის" ფეხბურთელების დაპირისპირებაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. დორტმუნდელები და მიუნხენელები ერთმანეთს მართლა მტრობთ?**

- ეს თემა ძალიან გაზვიადებულია. გარკვეული დაპირისპირება, რა თქმა უნდა, არსებობს, რაც ლოგიკურია. ეს ჯანსაღი დაპირისპირებაა. ზოგადად კი, გერმანიის ნაკრების ყველა ფეხბურთელი ერთ მუშტად შეკრულ გუნდს ქმნის. ბაიერნელებმა იციან, რომ დორტმუნდელი მოთამაშეები ძალიან მაგრები ვართ. გერმანიის თასის ფინალში „ბაიერნს" გაუმართლა, თუმცა ამას უკვე ვეღარ შევცვლით. ჩვენთვის მთავარი საფიქრალი და საზრუნავი ახლა მსოფლიოს ჩემპიონატია.

**- კევინ გროსკროიტცის ამბავს გაიგებდით...**

- სამწუხაროა, რომ კევინს მაინცდამაინც ახლა გადახდა ეს სკანდალი. სასტუმროს ფოიეში მოშარდვა და ის ფაქტი, რომ „დორტმუნდისა" და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი უგონოდ მთვრალი იყო, რა თქმა უნდა, ძალიან ნეგატიური შემთხვევაა. ისე, კევინი ძალიან კარგი ბიჭია და ნეგატიურ გამოხმაურებას ნამდვილად არ იმსახურებს. გროსკროიტცი პროფესიონალია და არ მინდა, რომ ბოლოდროინდელმა სკანდალებმა მასზე ცუდად იმოქმედოს.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის ბურთი ბევრ მეკარეს მოსწონს, ბევრს კი - არა. თქვენ რას იტყვით?**

- მშვენიერი ბურთია. კრიტიკის საფუძველი არ მაქვს.

**- ბევრისთვის მოულოდნელად, ლიოვმა გაფართოებულ სიაში თქვენი თანაგუნდელი ერიკ დურმიც შეიყვანა, რომელიც ჯერაც სიაშია, თუმცა ექსპერტები ფიქრობენ, რომ იოგი მას ბრაზილიაში არ წაიყვანს. თქვენ როგორ შეაფასებთ მის შანსებს?**

- ერიკმა ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა და ამ სიაში მოხვედრა ნამდვილად დაიმსახურა. კარგად მახსოვს, რას ფიქრობდა ერთი წლის წინ - შარშან ამ დროს დურმმა არ იცოდა, უკვე პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, თუ ჯერ კიდევ მოყვარული ეთქმოდა. ახლა კი, ზუსტად ერთი წლის შემდეგ, გერმანიის ნაკრებშია და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების შანსი აქვს. ვერ ვიტყვი, რომ ლიოვი დურმს აუცილებლად დატოვებს - ერიკი ვარჯიშებზე ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და არ არის გამორიცხული, რომ ბრაზილიაში წამოვიდეს.

**- თუ ნოიერმა ფორმის აღდგენა ვერ მოასწრო, 16 ივნისს პორტუგალიასთან თქვენ ითამაშებთ...**

- კრიშტიანო რონალდოსი ნამდვილად არ მეშინია. ვფიქრობ, რეალთან დუელებში დავამტკიცე, უმძიმესი წნეხის ატანა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

**- ბრაზილიაში ნამყოფი ხართ?**

- არა, ბრაზილიაში პირველად ჩავდივარ. რაც ამ ქვეყნის შესახებ მინახავს და წამიკითხავს, მხოლოდ დადებითი შთაბეჭდილებები მაქვს. ბრაზილიელებზე მეტად ფეხბურთი არავის უყვარს ამიტომაც მიმაჩნია ბედნიერებად ის, რომ სწორედ ამ მუნდიალზე მივდივარ.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი



კლაუდიო პისარო

# პისაროს კიდევ ერთი წელი

## პერუელმა კონტრაქტი გააგრძელა

მიუნხენის „ბაიერნის" წინა ხაზი მომავალ სეზონში აუცილებლად შეიცვლება, რადგან რეკორდმაისტერმა **რობერტ ლევანდოვსკი** გადაიბირა, **მარიო მანჯუკიჩი** კი ჩემოდნებზე ზის. შესაბამისად, ცხადია, რომ მიუნხენური გრანდის ძირითადი ცენტრფორვარდი სწორედ ლევანდოვსკი იქნება. სამაგიეროდ, უცვლელი რჩება მისი ალტერნატივა: ვეტერანი **კლაუდიო პისარო** „ბაიერნში" კიდევ ერთი წლით რჩება!

ბავარიულმა გრანდმა გუშინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ 35 წლის პერუელმა თავდამსხმელმა კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა და მიუნხენში 2015 წლის ზაფხულამდე ითამაშებს. *„კლაუდიომ გასულ სეზონში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან საჭირო კაცია. გვიხარია, რომ მასთან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე შეთანხმებას მივაღწიეთ. ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება იმაში, რომ პისარო მომდევნო სეზონშიც გამოგვადგება,"* - ეს „ბაიერნის" შეფის, კარლ-ჰაინც რუმენიგეს სიტყვებია.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 35 წლისაა, პისარომ გასულ სეზონშიც მართლაც დაამტკიცა, რომ საჭირო კაცია. მართალია, „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ექვსჯერ იყო გამწესებული, შეცვლაზე კი 11-ჯერ ითამაშა, მაგრამ საერთო ჯამში, პერუელმა 10 გოლის გატანა მოახერხა და სამი საგოლე პასიც მიითვალა, რაც ძალიან კარგი შედეგია. ისე გამოვიდა, რომ პისაროს საშუალოდ მხოლოდ 53 წუთი სჭირდებოდა იმისათვის, რომ ან გოლი გაეტანა, ანაც საგოლე გადაცემა გაეკეთებინა. ცნობისათვის, ფრანკ რიბერის შემთხვევაში ეს ინტერვალი 74 წუთი გახლდათ (10 გოლი, 12 პასი), იმავე მანჯუკიჩის შემთხვევაში კი - 84 წუთი (18 გოლი, 6 პასი).

*„ვამაყობ იმით, რომ „ბაიერნის" ღირსებას მომდევნო სეზონშიც დავიცავ. ჩემთვის ამაზე უკეთესი გუნდი არ არსებობს,"* - ეს თავად პისაროს სიტყვებია.

**გოტფრიდ ლენცი**

მწვრთნელი

# ლიოვს მართვის მოწმობა ჩამოართვეს

## გერმანიის ნაკრების თავკაცმა სიჩქარეს გადააჭარბა და თან ტელეფონზე საუბრობდა

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში ავტომობილის საჭესთან ვეღარ დაჯდება - გუშინ 54 წლის ბუნდესმწვრთნელს მართვის მოწმობა ჩამოართვეს. მიზეზი: იოგიმ 18 მარტს გერმანიის საფეხბურთო კავშირის კუთვნილი „მერსედესით" სიჩქარეს გადააჭარბა და, რაც მთავარია, ბოლო ექვს თვეში ეს მეორე შემთხვევაა. გაზეთ „ველტის" ინფორმაციით, ლიოვმა არა მარტო დასაშვებ სიჩქარეს გადააჭარბა, არამედ საჭესთან მობილურ ტელეფონზეც საუბრობდა.

*„ვაღიარებ, რომ დამნაშავე ვარ. ხანდახან დასაშვებზე სწრაფად ვმართავდი მანქანას და ჩემს საქციელს გამართლება არ აქვს. მართვის მოწმობის ექვსი თვით ჩამორთმევა ჩემთვის კარგი გაკვეთილია,"* - ეს თავად ლიოვის სიტყვებია, რომელიც გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

აქვე შეგახსენებთ, რომ ლიოვს 2006 წელსაც ჩამოართვეს ავტომობილის მართვის უფლება და მიზეზი მაშინაც სიჩქარის გადაჭარბება გახდა - კიოლნის ავტობანზე იოგი 134 კმ/სთ სისწრაფით მიჰქროდა, როცა დასაშვები 100 კმ/სთ იყო. თუმცა მაშინ იოგი მხოლოდ ერთი თვით დასაჯეს.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი

# გადაწყდა: ჰანტი ვოლფსბურგში მიდის





აარონ ჰანტი

ჯერ კიდევ მარტში გახდა ცნობილი, რომ **აარონ ჰანტი** ბრემენის „ვერდერს" დატოვებდა, მისი მომავალი კი მხოლოდ გუშინ გაირკვა. მანამდე გავრცელებული სპეკულაციები იმის შესახებ, რომ 27 წლის შემტევი ნახევარმცველი ან „ლევერკუზენში" გადავიდოდა, ანაც თურქეთს მიაშურებდა, არ გამართლდა. აარონის ახალი ნავსაყუდელი „ვოლფსბურგია".

„მგლებში" გადასვლა ჰანტს „ვოლფსბურგის" სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** გადააწყვეტინა, რომელიც ახლო წარსულში სწორედ „ვერდერის" ბოსი გახლდათ. აარონ ჰანტი ბრემენული კლუბის ღირსებას 2001-დან 2014 წლამდე, 13 წლის განმავლობაში იცავდა და ბუნდესლიგის 215 მატჩში 45 გოლის გატანა მოახერხა (44 საგოლე პასი). გასულ სეზონში კი ჰანტი „ვერდერს" შვიდი გოლით შეეწია (9 პასი), რითაც გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, რაც ნახევარმცველისთვის უდავოდ კარგი შედეგია. „ვოლფსბურგში" ჰანს ალოფსის გარდა კიდევ ორი ყოფილი ბრემენელი ელის: ცენტრალური მცველი **ნალდო** (2005-2012) და ნახევარმცველი **კევინ დე ბრუინი** (2012/2013).

**გოტფრიდ ლენცი**

იუვენტუსი

# პირლოს ახალი კონტრაქტი

იტალიური სპორტული მედია იუწყება, რომ მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც **ანდრეა პირლო** „იუვენტუსთან" ახალ 2-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. 35 წლის ნახევარმცველი „სკუადრა აძურასთან" ერთად მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, ტურინულ გრანდთან კი კონტრაქტს ლუქსემბურგთან ამხანაგური მატჩის შემდეგ გააფორმებს. 4 ივნისს ვერონაში იტალიის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს, რის შემდეგაც ანდრეა ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერს და ნაკრებთან ერთად ბრაზილიაში გაემგზავრება.



ანდრეა პირლო „იუვენტუსში" კიდევ ორი წელი ითამაშებს

ამრიგად, პირლო „იუვენტუსში" კიდევ მინიმუმ ორ სეზონს გაატარებს. ამასთან, ანდრეამ ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობის გაგრძელების სურვილიც გამოთქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ტემპი არ დააგდო, ევრო 2016-ზეც ვიხილავთ. მოკლედ, პირლო დიდ ფეხბურთში რჩება, რაც უდავოდ კარგი ამბავია.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი



ფილიპო ინძაგი დიდ ფეხბურთში ბრუნდება

# გაძეტა: მილანის ახალი მწვრთნელი ინძაგია

ყოველდღიურად გვიწევს წერა „მილანის“ მომავალი მწვრთნელის შესახებ - ხან **ლუჩანო სპალეტი** შევრაცხეთ ფავორიტად, ხან **უნაი ემერი**, ხან **რობერტო დონადონი**, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **კლარენს ზეედორფს ფილიპო ინძაგი** შეცვლის.

„გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომდევნო სეზონიდან ლომბარდიულ გრანდს სწორედ სუპერპიპო დამოძღვრავს.

ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, **სილვიო ბერლუსკონი** და **ადრიანო გალიანი** საბოლოო გადაწყვეტილებამდე მივიდნენ და შეთანხმდნენ, რომ ინძაგი დასაკარგი კაცი არაა. საქმე იმაშია, რომ „მილანის“ პრიმავერაში მომუშავე პიპოს გადაბირება სერია A-ს არაერთ კლუბს სურს და თავად მწვრთნელმაც პირდაპირ თქვა, რომ დიდ ფეხბურთში დასაბრუნებლად მზადაა. მოკლედ, ფილიპომ კლუბის მესვეურებს ულტიმატუმი წაუყენა და როგორც ჩანს, ამან გაჭრა კიდეც...

„გაძეტა“ გვარწმუნებს, რომ ამ კვირაში ბერლუსკონი და გალიანი ზეედორფს შეხვდებიან, მასთან კონტრაქტის გაწყვეტის დეტალებს შეათანხმებენ და შემდეგ, ახალ მწვრთნელად ინძაგის წარადგენენ. აღნიშნული ცნობა თავად პიპომ არც უარყო და არც დაადასტურა, მაგრამ საქმე რომ გაჩარხულია, ამაში ეჭვი აღარ ეპარებათ. მოგვიანებით, „გაძეტას“ იტალიურმა სპორტულმა პორტალებმა აუბეს მხარი და ინძაგი „როსონერის“ მესაჭედ გამოაცხადეს.

**ლაშა წიკლაური**

ინტერვიუ. გარეთ ბეილი

# რეალის ძვირფასი გმირი

**მადრიდის „რეალმა“ სანუკვარი და სანატრელი „ლა დესიმა“ მოიგო, გუნდი მეათედ გახდა ჩემპიონთა ლიგის/თასის გამარჯვებული. თუმცა „სამეფო გუნდმა“ მართლაც ბეწვის ხიდზე გაიარა, „რეალს“ წაგებასთან სულ რამდენიმე წამი აშორებდა, როდესაც სერხიო რამოსმა გაათანაბრა, ხოლო დამატებით დროში კარლო ანჩელოტის გუნდმა თანაქალაქელ „ატლეტიკოს“ სამი უპასუხო გოლი გაუტანა და იმარჯვა. ძირითად დროში „რეალის“ უელსელ ლეგიონერს, გარეთ ბეილს 4-5 რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ ისინი ვერ გამოიყენა და თითქოს, იკერ კასილიასთან ერთად, რომლის შეცდომასაც მოჰყვა „ათლეტების“ გოლი, მატჩის ანტიგმირი უნდა გამხდარიყო, მაგრამ... საბოლოოდ, თავის დროზე 94 მილიონ ევროდ ნაყიდი უელსელი გმირად მოგვევლინა, რადგან „ატლეტიკოს“ კარში მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი გოლის ავტორი სწორედ იგი გახდა - ანხელ დი მარიას სოლო-რეიდისა და დარტყმის მერე, 24 წლის შემტევი ნახევარმცველი იქ გაჩნდა, სადაც საჭირო გახლდათ, დასწრებაზე იყოჩაღა და არგენტინელის დარტყმულს დაამატა. „ტოტენჰემის“ ყოფილი ფეხბურთელი uefa.com-ს გაესაუბრა და თავისი ემოციები და შეხედულებები გაუზიარა**

**- როგორი შეგრძნებაა ჩემპიონთა ლიგის მოგება?**

- ეს საოცარი შეგრძნებაა. დიახ, ძალიან მძიმე ბრძოლა იყო, და მეტოქემ ერთიორად გაგვირთულა საქმე, მაგრამ მებრძოლი ხასიათი გამოვავლინეთ, რომელიც ნამდვილად გვაქვს გუნდში და საბოლოოდ, მოგება შევძელით.

**- „რეალს“ განსაკუთრებით პირველ ტაიმში უჭირდა, როდესაც „ატლეტიკო“ პრესინგს ბრწყინვალედ თამაშობდა და პრობლემები შეგექმნათ, არ იყო სივრცე, არ ჩანდა მომენტები...**

- კი, ნამდვილად. „ატლეტიკო“ ასეთი სტილის გუნდია, უყვარს და კარგად გამოსდის თავდაცვა. ეს კლუბი დაცვაში ყოველთვის ძლიერად და სოლიდურად გამოიყურება, მეტოქეებს სივრცეს არ აძლევს. თუმცა ვაგრძელებდით და ვაგრძელებდით მცდელობებს და ბოლოს მივიღეთ კიდეც ის, რაც გვსურდა და რასაც ველოდით. ხოლო იმ გოლმა გამარჯვებისკენ წასასვლელი ახალი ბიძგი და იმპულსი მოგვცა.



**- რა გაიფიქრეთ, როდესაც გოლი შეცდომის შემდეგ გაუშვით და რას გვეტყვით ამ ეპიზოდზე?**

- ეს ჩვეულებრივი რამაა. ფეხბურთში შეცდომები ხდება ხოლმე, ამაში განსაკუთრებული არაფერია. მთავარია, ხასიათი გამოვაჩინეთ და ერთად, გუნდურად დავძლიეთ ეს ბარიერი. ყველამ ბევრი ვიმუშავეთ იმისთვის, რომ სასურველი შედეგისთვის მიგვეღწია და ამ შემართების წყალობით გავიდა კიდეც ის გოლი, რამაც შემდეგ დამატებითი დროისთვის დამატებითი მუხტი მოგვცა.

**- იმ დროისთვის გჯეროდათ, რომ 93-ე წუთზე გოლს გაიტანდით?**

- ჩვენ ყოველთვის გვინდა გოლის გატანა და ბოლომდე ვიბრძვით. ძალიან კარგია, რომ ამჯერად გამოგვივიდა. მართალია ცოტაა გვიან, მაგრამ ამან ის გოლი კიდევ უფრო განსაკუთრებული გახადა.

**- საკუთარ თავზე რას გვეტყვით? 4-5 შანსი გქონდათ, მაგრამ ისინი ვერ გამოიყენეთ და ბოლოს მაინც გაიტანეთ!**

- დიახ, ეს ხდება ფეხბურთში. ზოგიერთ დღეს უბრალოდ ვერ იყენებ შანსებს, მაგრამ მთავარია, თავდაჯერება არ დაკარგო. უნდა გააგრძელო ისეთივე შემართებით თამაში, მცდელობა, დარტყმები და საბედნიეროდ, ამჯერად საბოლოოდ მიზანს მივაღწიე კიდეც.

**- ყველანი ძალიან დაღლილები იყავით, მაგრამ წარმომიდგენია, რამხელა ენერგია და მუხტი მოგცათ იმ სიხარულმა, რომელიც გოლმა გამოიწვია.**

- რასაკვირველია. დამატებითი დროც ძალიან რთული იყო. ყველა მართლაც დაღლილი გახლდათ, მაგრამ ხასიათი კიდევ ერთხელ გამოვავლინეთ და უკანასკნელი 30 წუთი მაღალ დონეზე ჩავატარეთ. დამუხტულები ვიყავით, ტიტულის მოგება ძალიან გვსურდა და რამდენიმე გოლის გატანა მოვახერხეთ.

**- როდესაც ჩემპიონთა ლიგის თასი ალმართეთ, რა გაიფიქრეთ იმ მომენტში?**

- სიტყვიერად თუ ვიტყვით, ცნობილი ფრაზით - ეს ახდენილი ოცნებაა. როდესაც პატარა ხარ, ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობ. თანაც მოიგო „რეალთან“ ერთად, რომლისთვისაც ეს ტიტული მეათეა, ამ გამარჯვებას გამორჩეულს ხდის და ის განსაკუთრებულად ჩაეწერება ისტორიაში.

**გიორგი პაპაბაძე**






ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალიის ნაკრები



მარიო ბალოტელის თქმით, ხალხს აღიზიანებს, რომ ის განსხვავებულია

# პრანდელი ირლანდიასთან მატჩის შემდეგ იტყვის

## ბალოტელის არ ასვენებენ

იტალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის კოვერჩიანოს საწვრთნელ ბაზაზე ემზადება, სადაც მუდმივად ხალხმრავლობაა. ჟურნალისტების გარდა, ვარჯიშებს გულშემატკივრებიც ესწრებიან და ძირითადად, ამხნევებენ „სკუადრა აძურას“ ფეხბურთლებს. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებმაც რასისტულ ნიადაგზე **მარიო ბალოტელის** შეურაცხყოფა მიაყენეს და ეს ამბავი უმალ მოედო საფეხბურთო იტალიას. სუპერ მარიოს პირველივე ვარჯიშზე შეუტიეს, რაზეც ფეხბურთელმა წაუყრუა, თუმცა როდესაც ეს კიდევ ერთხელ განმეორდა, კომენტარი გააკეთა:

*„ძალიან სამწუხაროა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ასეთ ფაქტებს აქვს ადგილი. როგორც ჩანს, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც „სკუადრა აძურას“ წარმატებაზე მეტად ჩემი გამწარება სურთ, მთელი ქვეყანა უნდა გაერთიანდეს ეროვნული გუნდის გარშემო, ასეთი გამოხდომები კი აშკარად უადგილოა. როგორც ჩანს, ხალხს აღიზიანებს, რომ განსხვავებული ვარ. სამწუხაროდ, იტალიაში რასიზმი მძვინვარებს“.*

### პრანდელი 1-ელ ივნისს იტყვის

**ჩეზარე პრანდელიმ** ბრიფინგი გამართა, სადაც განაცხადა, რომ ფედერკალჩოსთან ხელშეკრულება 2016 წლამდე გაახანგრძლივა. შემდეგ, სენიორ ჩეზარემ შეგირდები შეაქო მაქსიმალური მონდომებისთვის და დასძინა:

*„ვიცი, რომ ყველას აინტერესებს თუ როდის გავაცხადებ 23-კაციან შემადგენლობას. 31 მაისს ირლანდიასთან ამხანაგური მატჩი გვაქვს, მეორე დღეს კი საბოლოო შემადგებლობას დავასახელებ. გამოიკვეთნენ თუ არა აუტსაიდერები? - მოდით, ამაზე 1-ელ ივნისს ვისაუბროთ“.*

სენიორ ჩეზარემ საწვრთნელ პროცესზეც გააკეთა კომენტარი: *„ფეხბურთელთა ნაწილი გადაღლილია და ეს არ მიკვირს, რადგან უკან გრძელი და რთული სეზონი მოიტოვეს. ამიტომ, ჩვენი ვარჯიშები მსუბუქია და ძირითადად ბურთთან ურთიერთობას, ახალი სქემების დამუშავებას ეთმობა. ჩემი მიზანია, რომ მოთამაშეები მუნდიალს იდეალურ ფორმაში შეხვდნენ და საამისოდ ყველაფერს ვაკეთებთ“.*

### იტალიაvsირლანდია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 31 მაისს იტალიის ნაკრები ირლანდიას გაეჯიბრება, ეს მატჩი კი ლონდონში, „ფულჰემის“ საშინაო არენაზე შედგება. „გაძეტა დელო სპორტის“ ვარაუდით, ჩეზარე პრანდელი ამ პაექრობას იმ ფეხბურთელების საქმეში სანახავად გამოიყენებს, რომლთა მუნდიალზე წასვლა ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. მაგალითად, დაცვის ცენტრში ვიხილავთ **ანდრეა რანოკიას**, ფლანგებზე **მატეო დარმიანს, მანუელ პასკუალს** და **კრისტიან მაჯოს**; ნახევარდაცვაში **მარკო ვერატის, ალბერტო აკვილანს, მარკო პაოლოს** და **რომულო სოუზას**, შეტევაში კი **ლორენცო ინსინიეს, მატია დესტროს** და **ჯუზეპე როსის**. მოკლედ, პრანდელი ამ მოთამაშეებს ყურადღებით დააკვირდება და შემდეგ, საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, „სკუადრა აძურა“ კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს, როდესაც 4 ივნისს ლუქსემბურგს შეერკინება. აი, აქ კი პრანდელი უკვე ძირითად შემადგენლობას ათამაშებს და ინგლისთან სამუნდიალე პაექრობის წინ, გენერალურ რეპეტიციას გაივლის.

● ლეგენდა

# ფეხბურთით გავიზარდე, ვცხოვრობ და მოვკვდები

**ფრანჩესკო ტოტი 37 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ ლიდერია თავისი გუნდის, რომელმაც სერია A-ს განვლილ გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა და მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს. „რომა“ წარმოუდგენელია ტოტის გარეშე, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და ადრე თუ გვიან, „იმპერატორიც“ დაასრულებს საფეხბურთო კარიერას. თუმცა, იქამდე კიდევ აქვს თავისი სიტყვა სათქმელი...**

### განვლილი სეზონი

სეზონი იმაზე უკეთესად ჩავატარეთ, ვიდრე ველოდით და მიუხედავად ამისა, სკუდეტოს მაინც ვერ შევწვდით. „იუვენტუსმა“ 38 მატჩიდან 33 მოიგო, რაც ერთი მხრივ ამ გუნდის სიძლიერეზე მიუთითებს და მეორე მხრივ, სერია A-ს პრობლემებზე. მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ტურინელებმა მხოლოდ 5 შეხვედრაში დაკარგეს ქულები და ასეთ გუნდთან კონკურენციის გაწევა ურთულესია.

მიუხედავად ამისა, უაღრესად კმაყოფილები ვართ და მომავალს ოპტიმიზმით შევყურებთ. მჯერა, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში კიდევ უფრო გავძლიერდებით და მომდევნო სეზონში უკეთესად ვიასპარეზებთ.

### კარიერის დასასრული

ჯერჯერობით, თავს კარგად ვგრძნობ და ვერ ვხედავ საფუძველს, რომ კარიერა დავასრულო. კარგად მესმის, რომ ეს დღე სადღაც ახლოა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მინიმუმ ერთ სეზონს კიდევ ვითამაშებ. როდესაც ვიგრძნობ, რომ თამაში აღარ გამომდის და მოედანზე სასაცილოდ გამოვიყურები, მყისვე დავასრულებ კარიერას. თუმცა, იქამდე კიდევ მაქვს ჩემი სიტყვა სათქმელი - მსურს, „რომასთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით ვითამაშო.

რას გააკეთებ კარიერის დასრულების შემდეგ? - გავიზარდე ფეხბურთით, ვცხოვრობ ფეხბურთით და მოვკვდები ფეხბურთით. კარიერის დასრულების შემდეგ, ისევ სპორტის საყვარელ სახეობაში დავრჩები. მწვრთნელობაზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ, მაგრამ გამორიცხვა არაფრის შეიძლება. დიდი შანსია, „რომას“ მენეჯმენტში ვიმუშაო, იქნებ საფეხბურთო ექსპერტი გავხდე და მატჩები გავაანალიზო. ვნახოთ...

### კარიერის მწვერვალი

კარიერის კულმინაცია მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი იყო, რომელიც „სკუადრა აძურას“ გამარჯვებით დასრულდა. ეს იყო ყველაზე დიდი ჯილდო, რომელიც ოდესმე მომიგია. ეს იყო ახდენილი ოცნება, რომელმაც მთელი ქვეყანა გააბედნიერა. მქონდა თუ არა ბრაზილიის მუნდიალზე ასპარეზობის იმედი? - ჩეზარე პრანდელიმ არაერთხელ თქვა, რომ ჩემს წაყვანას არ აპირებდა და აქედან გამომდინარე, არავითარი იმედი არ მქონია. ჩეზარეს და მის გუნდს წარმატებას ვუსურვებ - მჯერა, რომ იტალიას შესწევს ტიტულისთვის ბრძოლის ძალა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ფრანჩესკო ტოტი კარიერის მწვერვალზე






ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

### ცაგერი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ცაგერის რაიონში მასობრივი სპორტული ღონისძიებებითაც აღინიშნა საჯარო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით. მძლეოსნურ გარბენში იპირველეს დათო გორდულაძემ (ბარდნალის სკოლა) და ელისაბედ ფრუიძემ (ალპანის სკოლა). ქართულ ჭიდაობაში გამარჯვებულები არიან: ნიკა ქომეთიანი (60 კგ; ცაგერის სკოლა), გიორგი ახვლედიანი (50; ბარდნალი), რაფიელ ბენდელიანი, ზურაბ ქომეთიანი (მძიმე, ორივე-ცაგერი).

მკლავჭიდში აბსოლუტური პირველობა მოიგო რევაზ ხვადაგიანმა (ალპანა), სიმძიმეების აწევაში საუკეთესო იყო ჯონი უჩაძე (ქვემო ცაგერი). ჭადრაკში ასაკის შესაბამისად წარმატება ხვდათ: ვასო ქარსელაძეს (ცაგერი), ნიკოლოზ ნემისიწვერიძეს (ტვიში), მეგი ომანიძეს (ზუბი), თამარ გოლეთიანს ალპანა).

**„ლელოს“ კორ.**
ცაგერიდან

### ოზურგეთი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გინესის მრავალგზის რეკორდსმენმა **გოდერძი მახარაძემ** ორი მსოფლიო სარეკორდო ასპარეზობა მიუძღვნა - უკუსვლით თავით ფეხბურთის ბურთის კენწვლით 100 მ. 31,50 წამში გაირბინა და თავისივე შედეგი 16,10 წამით გააუმჯობესა. შემდეგ გ. მახარაძემ უკვე სპორტის სასახლის თაღქვეშ გადაინაცვლა და 100 მეტრი 4,06 წამში დაფარა, რითაც ამერიკელ აბრაამ მუნოსის რეკორდი (4,41) გააუმჯობესა.





თარაშ კანდელაკი

### გორი

#### გიორგი კანდელაკი შვილმა ასახელა

ამ დღეებში ვარიანის კრივის დარბაზმა მსოფლიოს ჩემპიონის, გიორგი კანდელაკის სახელობის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა ჭაბუკთა უმცროსი ასაკის მოკრივეებს შორის (მთავარი მსაჯი **ავთანდილ შოშიაშვილი**). შეჯიბრება ტრადიციულია და ახლა უკვე მეექვსედ ჩატარდა ჩვენი ქვეყნის 20-მდე ქალაქისა და რაიონის, აგრეთვე თურქეთის ქალაქ სამსუნის ჭაბუკი მოკრივეების მონაწილეობით. ტურნირზე სპორტსმენთა რაოდენობა და გუნდების გეოგრაფია სულ უფრო იზრდება. მონაწილეთა სიმრავლის გამო ორ წონაში ერთზე მეტი გამარჯვებული გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ ოქროს მედალი მოიპოვა გიორგი კანდელაკის ვაჟმა **თარაშმა,** თუმცა მისი წარმატება მოულოდნელი აღარაა, რადგან სულ ცოტა ხნის წინათ იგი მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი და შემდეგ საერთაშორისო ტურნირზე ბაქოში მესამე საპრიზო ადგილზეც გავიდა.

საუკეთესო გუნდური შედეგი აღმოჩნდა გორს, რომელმაც მთავარი პრიზი დაიმსახურა. მეორე პოზიციაზე აღმოჩნდა ფოთის, მესამეზე - ქუთაისის გუნდები. სამახსოვრო თასით დაჯილდოვდა სამსუნის გუნდი. *„ძალიან მოვეწონა ტურნირი. ჩვენმა სპორტსმენებმა შესანიშნავი გამოცდილება მიიღეს. გვინდა გაისადაც გესტუმროთ უფრო მეტი გუნდით და თანაც ჩვენთანაც ვეპატიჟებით გორელ და ვარიანელ მოკრივეებს, სამსუნში ამავე ასაკობრივი კატეგორიის საერთაშორისო შეჯიბრებაზე. ქართულმა მხარემ ბრწყინვალე მასპინძლობა გაგვიწია, რის გამოც დიდად მადლიერები ვართ“* - გვითხრა სამსუნის კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა **მუსტაფა ბილირმა.** სამსუნის და გორის საკრივო სკოლების დაახლოება გორელი მოკრივის **გიორგი გიორგაშვილის** დამსახურებაა, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სამსუნში ასპარეზობდა, წლეულს კი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და მწვრთნელობა დაიწყო.

**ტურნირის გამარჯვებულები არიან: 1998-1999 წწ დაბადებულთა შორის -**

**გუჯა მექვაბიშვილი** (42 კგ. გორი); **ოთარ ნავერიანი** ((48, მარნეული); (57, **ჰაკან ჰანკი** (თურქეთი); **თარაშ კანდელაკი** (75, ვარიანი). **2000-2001 წწ დაბადებულთა შორის: მიხეილ მოდებაძე** (ჭიათურა), **დავით ნაცვლიშვილი, ავთო ქებაძე** (ორივე – ვარიანი, სამივე - 38,5); **გიორგი ბერელაშვილი** (40, გორი); **ლექსო ხასაია** (41,5 ზუგდიდი); **დათო კაპანაძე** ჭიათურა), **ირაკლი ხარამიშვილი** (ხობი - ორივე, 43,); კგ. **ალიკა ყიფიანი** (44,5, საჩხერე); **ზურაბ კონტრიძე** (46, ფოთი); **გორ სეროპიანი** (48, მარნეული); **ოთარ კარელიძე** (50, ვარიანი); **გია თოთლაძე** (52, ქარელი); **ილია მწარიაშვილი** (54, გორი); **ზურაბ მენაბდიშვილი** (58, გორი); **ალეკო შათაკიშვილი** (59, გორი); **ნიკო პოლოსოვი** (62, თბილისი); **ვანო მაჩიტიძე** (69, ტყიბული); **მათე კვანტალიანი** (76, ქუთაისი).

**ვასილ ბალახაძე**
ვარიანიდან
ავტორის ფოტო



### მცხეთა

მცხეთის რაიონის სოფ. გალავანში გაიმართა არჩილ ჩოხელის მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. სამბოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი არჩილ ჩოხელი პანკისში, ლაფანყურის ოპერაციის დროს დაიღუპა. ტურნირში მონაწილეობდნენ ჩოხიანი ჭიდაობების ცნობილი ოსტატები.

ასპარეზობის დაწყების წინ მცხეთაში საჭიდაო დარბაზის წინ საზეიმოდ გაიხსნა უდროოდ დაღუპული სპორტსმენის ვარსკვლავი.

ტურნირის თასი და მთავარი პრიზი - ცოცხალი ჭედილა **მიხეილ ჩოხელმა** დაიმსახურა.

**კვარცხლბეკი**

**60 კგ**

1. ლაშა გიუნაშვილი (ქარელი)
2. გიორგი მესაბლიშვილი (ახმეტა)
3. იოსებ ცერცვაძე (ქარელი)

**70 კგ**

1. მიხეილ ჩოხელი (თიანეთი)
2. ალიკ ნანიევი (ლაგოდეხი)
3. გიგა ბერიაშვილი (კასპი)

**80 კგ**

1. გიორგი პაპუნაშვილი (გორი)
2. ზვიად კაპანაძე (ქარელი)
3. ჯაბა ბინაძე (ლაგოდეხი)

**90 კგ**

1. პაატა ლვინიაშვილი (ქარელი)
2. გიორგი კობაიძე (მანგლისი)
3. გიორგი სეტიელი (გალავანი)

**მძიმე**

1. ონისე ბულაძე (საჩხერე)
2. გიორგი ნოზაძე (ხაშური)
3. ბექა ბერძენიშვილი (ახალციხე)

**„ლელოს“ კორ**



მიხეილ ჩოხელი

### შიომღვიმის დღესასწაულზე

მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვის ჭიდაობის ქომაგებმა და მცხეთის სპორტის თავკაცებმა შიომღვიმობის დღესასწაულს დაამთხვიეს ძეგველი მოჭიდავის გიგა რთველიაშვილს სახელობის (1967-1998) ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

საჭიდაოდ შეიკრიბნენ მცხეთის, ძეგვის, წილკნის, ძალისის, თიანეთის და ქსოვრისის ქართულის მოჭიდავეები...

ცოცხალი პრიზი - ჭედილა მოიპოვა ძეგველმა - **თორნიკე აბულაძემ.** კოკა ნატრაძის თასი კი წილკნელ **თამაზ ჩილინდრიშვილს** ხვდა.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს: ცეზარ როსტიაშვილი** (25 კგ. ძეგვი), **ვახტანგ თათარაშვილი** (30), **თამაზ ჩილინდრიშვილი** (35), **გიორგი ჭალელიშვილი** (40), **გუგა გამიხარდაშვილი** (45, ოთხივე-წილკანი), **თორნიკე აბულაძე** (50, ძეგვი), **თენგიზ ჩიტაური** (55, თიანეთი), **დავით გოგიჩაშვილი** (60), **ჯიმშერ ჯანაშვილი** (65), **ზურაბ ოქრუაშვილი** (70, სამივე - წილკანი), **ნიკა შიომღვდლიშვილი** (+70 კგ, თიანეთი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

## მკლავჭიდი

# უამრავი მედალი ევროპის ჩემპიონატიდან

ევროპის 24-ე ჩემპიონატი მკლავჭიდში აზერბაიჯანში, ბაქოში ჩატარდა 32 ქვეყნის მონაწილეობით. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი **ვახტანგ მუსელიანი**) წარმატებით იასპარეზა.

**18-წლამდელებში** მარცხენა ხელით პაექრობაში ვერცხლის მედალი მოიპოვეს **თორნიკე გიგაურმა** (80კგ) და **გიორგი გოგოჭაშვილმა** (85), ბრინჯაოსი - **ზურაბ ირემაშვილმა** (65).

**21-წლამდელთა** ნაკრებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავა. მედალოსნები გახდნენ:

**იმედა ჭინჭარაული** (55) 2 ოქრო (მარჯვენა და მარცხენა ხელით), **გურამ აგულაშვილი** (70) 2 ვერცხლი (მარჯვენა და მარცხენა ხელით), **ვალერიან მელაძე** (80) ოქრო (მარცხენით), **ელჩინ მინატობი** (85) ბრინჯაო (მარცხენით), **გიორგი ჯაშიაშვილი** (60) ვეცხლი (მარჯვენით), **გიორგი ხუბაშვილი** (60) ბრინჯაო (მარჯვენით), **დათო ფენიაშვილი** (მძიმე) ოქრო (მარჯვენით) ვერცხლი (მარცხენით).

**უფროსი ასაკი: ვილენ გაბრავა** (60) ოქრო (მარცხენათი), **ჯამბულ ვიბლიანი** (65) ოქრო (მარჯვენით), ვერცხლი (მარცხენით), **ნიკოლოზ წერეთელი** (70) ბრინჯაო (მარჯვენით), **ვეფხია სამხარაძე** (75) ვერცხლი (მარჯვენით), **გამთენაძე ირაკლი** (90) ვერცხლი (მარჯვენით), **ლევან საგინაშვილი** (მძიმე) ვერცხლი (მარჯვენით).

**მასტერკლასის კატეგორია** (40 წელს ზემოთ): **პაატა მახარაშვილი** (70) ბრინჯაო (მარცხენათი), **ლადო ხუციშვილი** (90) ვერცხლი (მარჯვენათი), ბრინჯაო (მარცხენათი),

**გელა ბექაური** (85) ბრინჯაო (მარცხენათი).

**ინვალიდთა შორის** ბრინჯაოს მედალს დაეუფლა **ბესიკ ლეკიაშვილი** (მარცხენა ხელით)

გუნდს ფედერაციის პრეზიდენტი **სოსო ჯაჭვლიანი** ხელმძღვანელობდა.

**„ლელოს“ კორ**



## ჭადრაკი

# ნახევარი ქულა დააკლდა

დიდოსტატი **გიორგი მარგველაშვილი** და საერთაშორისო ოსტატები - **ლევან ბრეგაძე** და **მარიამ დანელია** მონაწილეობდნენ ჩიკაგოში (აშშ) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალში. ძირითად ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის 95 წარმომადგენელი ცდიდა ძალებს. ბოლო ტურში მარგველაშვილი ანტონ კოვალიოვს (კანადა) დაუზავდა და 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულას მოუყარა თავი, რითაც მესამე-მეცხრე ადგილები (კოეფიციენტით VIII ადგილი) გაიყო და 1066 დოლარი დაიმსახურა. ამდენივე თანხას დასჯერდნენ ანტონ კოვალიოვი, ბართლომეი მაჩეია (პოლონეთი), ფიდელ კორალესი, იური შულმანი და კონრად ჰოლტი (სამივე-აშშ). შვიდი ქულით პირველი ადგილი და 7700 დოლარი ხვდა გაბრიელ სარგისიანს (სომხეთი). ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი და 7500 დოლარი ერგო კანაპან პრიადხარშანს (ინდოეთი). ლევან ბრეგაძემ,



გიორგი მარგველაშვილი

რომელიც ოთხი ტურის შემდეგ ლიდერებში იყო, საბოლოოდ 5,5 ქულით მე-19 ადგილი დაიკავა. 4,5 ქულით მარიამ დანელია 41-ე ადგილს დაჰყაბულდა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანვარჯიში


პაატა ნოზაძე

# ევროოლიმპიადის ორი საგზურით

ბულგარეთის დედაქალაქში დამთავრდა ტანმოვარჯიშეთა ევროპის ჩემპიონატი უფროსებსა და ახალგაზრდებში. საქართველოდან რვა სპორტსმენი მონაწილეობდა: **ნატალია ძიძიგური, პაატა ნოზაძე, შალვა დალაქიშვილი, ნოდარ ლიონიძე, მიხეილ ხარაბაძე** (დიდებში), **მაგდა რობაქიძე, იოანე ჯიმშელეიშვილი და საბა აბესაძე** (ახალგაზრდებში). განსაკუთრებით იყოჩაღეს ვაჟებმა. მრავალჭიდში დალაქიშვილმა 21-ე, ხოლო ნოზაძემ - 25-ე ადგილები დაიკავეს და 2015 წლის ევროპის პირველი ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვეს. როგორც ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ბესარიონ გამსახურდიამ** გვითხრა, ქვეყანას ოლიმპიადის ერთი საგზური ერგება, ამიტომ ბაქოში ვინ გაემგზავრება, ეს გაისად გადაწყდება სპორტსმენთა მომზადების დონის გათვალისწინებით. რაც შეეხება ქალებს, ნატალია ძიძიგური მრავალჭიდში 51-ე იყო, მაგრამ ევროპის ოლიმპიადის ლიცენზიის მოსაპოვებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

ახალგაზრდებში 14 წლის მაგდა რობაქიძეს და იოანე ჯიმშელეიშვილს, 16 წლის საბა აბესაძეს 2-4 წლით უფროსებთან პაექრობაში, ცხადია, დიდი სანსი არ ჰქონიათ, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინეს და, რაც მთავარი, მომავალი შეჯიბრებებისთვის გამოცდილება შეიძინეს.

ბულგარეთიდან დაბრუნებული სპორტსმენები ახლა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადებიან. ეს ასპარეზობა 3-12 ოქტომბერს ჩინეთში გაიმართება. იქ წამსვლელთა ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# ახალგაზრდებმა სანახევროდ გაარკვიეს

17-22 ივნისს პოლონურ კატოვიცეში ევროპის ჩემპიონატი ტარდება ახალგაზრდა მოჭიდავეთა შორის. საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაზა სილაგაძემ** უკვე დაასახელა იქ წასაყვანი შემადგენლობა. აღსანიშნავია, რომ გუნდში აბსოლუტური უმეტესობა – რვიდან ხუთი კაცი აჭარის რეგიონის წარმომადგენელია: **გიზო მელაძე** (55), **მურად მიქელაძე** (60), **შმაგი ბოლქვაძე** (66), **გელა ბოლქვაძე** (74) და **ლაშა გობაძე** (84). ორი მონაწილე თბილისიდანაა – **კუკური კირცხალია** (96) და **ბექა იმერლიშვილი** (120), ერთი კი ოზურგეთელია – **შოთა ღლონტი** (50).

როგორც ვხედავთ, სილაგაძე მთლიანად საქართველოს ჩემპიონებს დაეყრდნო. გამონაკლისი მხოლოდ ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ბოლქვაძე და ღლონტი არიან. ღლონტი საქართველოს პირველობაზე ფინალში 14 წლის **ლერი აბულაძესთან** დამარცხდა, ბოლქვაძემ კი სენაკელ **ბაკურ გოგოლთან** წააგო. მერე გოგოლი ჩემპიონიც გახდა, ბათუმელი ფალავანი კი მესამეზე გავიდა. სამაგიეროდ, შესარჩევ შეჯიბრებებში ბოლქვაძემ უკეთ იჭიდავა და ნაკრებშიც მოიპოვა ადგილი.

შარშან ეს გუნდი ევროპის პირველობაზე წარმატებით გამოვიდა და ძირითადი ბირთვიც შენარჩუნებულია. მაშინ სილაგაძის შეგირდთა მონაგარი ხუთი მედალი იყო – თითო ოქრო-ვერცხლი და სამი ბრინჯაო. ევროპის ჩემპიონი **იაკობ ქაჯაია** (120) გახდა, **ირაკლი შავაძე** (50) ფინალში დამარცხდა, გობაძე, კირცხალია და **რობერტ კობლიაშვილი** (84) კი მესამეზე გავიდნენ. ამათგან ფინალისტები და კობლიაშვილი უკვე გადავიდნენ ეროვნულ გუნდში, სხვებმაც დაამთავრეს ახალგაზრდებში გამოსვლა, მაგრამ დიდი ნაწილი ჯერ ისევ რჩება აქ.

სილაგაძისგან განსხვავებით, შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია მის „თავისუფალ" კოლეგა **გიორგი გოგშელიძეს** - ის ამას ბოლო შეკრებაზე, საკონტროლო შეხვედრების შემდეგ გააკეთებს. ამჟამად ბერძენ-რომაელები ბორჯომში გადიან შეკრებას, დასკვნითს კი წყალტუბოში გაივლიან. „თავისუფლები" სადღეისოდ ბათუმში ვარჯიშობენ, ბოლო შეკრება კი ბორჯომში ექნებათ. კატოვიცეშიც პირველად ისინი წავლენ, რადგან ევროპის ჩემპიონატს ისინი გახსნიან 17 ივნისს, ბერძენ-რომაელები კი 19-ში გაფრინდებიან.

**ირაკლი თავაძე**


იაკობ ქაჯაია

ჩოგბურთი

# რუსული ბარიერი ვერ დასძლია

მას შემდეგ, რაც **სოფიო შაფათავამ** საფრანგეთის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი მეტოქე დაამარცხა და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა, ინტერესით ველოდით მის დაპირისპირებას რუს სვეტლანა კუზნეცოვასთან, რომელიც წლეულს საერთაშორისო ტურნირებში მაინცდამაინც სახარბიელო შედეგებს ვერ აღწევს. ეტყობა, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა „როლან გაროსისთვის" შეძლო ძალების მობილიზება და ორ სეტში სძლია ქართველ ჩოგბურთელს - 6:3, 6:1. არადა, პირველ სეტში ექვსი გეიმის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო - 3:3.

ტურნირს შემორჩა თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც წყვილებში პოლონელ კატარჟინა პიტერთან ერთად სტარტზე კრისტინა მაქკეილსა (აშშ) და შანელ შეეპერსს (სამხრეთი აფრიკა) შეხვდება.

■ ■ ■

უზბეკურ ბუხარაში ძალებს ცდიან **სოფიო ქვაცაბაია** და **ეკატერინე გორგოძე**. ეს უკანასკნელი მე-5 ნომრადაა განთესილი და, როგორც გაუწყეთ, პირველ წრეში მასპინძელი ფარიზა აბდულაევა შეიწირა - 6:0, 6:0. მეორეშიც მის თანამემამულე ალბინა ხაბიბულინას შეხვდება, რომელმაც კვალიფიკაციიდან აღზევებული უკრაინელი - ალინა ტიმოფეევა ჩამოიშორა გზიდან - 6:4, 6:2.

გუშინ წარმატებით ითამაშა სოფიო ქვაცაბაიამაც - სტარტზე მას შეჯიბრებაზე „უაილდ ქარდით" მიწვეული ალიკა ისლამოვას დამარცხება არ გასჭირვებია - 6:0, 6:2. მეორე წრეში ქართველი ჩოგბურთელი ტურნირის მე-7 ნომერ თურქს - იპეკ სოილუს გაუწევს მეტოქეობას.

წყვილებში გორგოძე და ქვაცაბაია მე-4 ნომრად იყვნენ განთესილი და მეოთხედფინალში დაუბრკოლებლად გააღწიეს, იქ კი უზბეკების - ალინა აბდურახიმოვას და ალბინა ხაბიბულინას დუეტთან ვერაფერს გახდნენ და სამ სეტში დამარცხდნენ - 3:6, 6:4, 7:10.

■ ■ ■

შარმ ელ შეიხში (ეგვიპტე) წარმატებით აიღო სტარტი **თამარ ჭალაგანიძემ**. წყვილებში მან უკრაინელ ვერონიკა სტოტიკასთან ერთად დაუბრკოლებლად აჯობა მასპინძლების - ზეინა ელ ტავილისა და სარა შერიფის ტანდემს - 6:1, 6:2, მეოთხედფინალში მესამე ნომრად განთესილ აბუ ზეკრისა (ეგვიპტე) და ალინა მიხეევას (რუსეთი) გაუწევს მეტოქეობას. რუსულ-ეგვიპტური დუეტი პირველ წრეში თავისუფალი იყო. ერთეულებში თამარ ჭალაგანიძე ფრანჩესკა სტეპჰენსონს (დიდი ბრიტანეთი) ეთამაშება.

**ვაჟა დანელია**


სოფიო ქვაცაბაია

# წყვილებში ყოჩაღობენ


დალიდა ქადარია

შიაულიაიში (ლიტვა) 12 ჩოგბურთელი გოგო-ბიჭები ცდიან ძალებს. ერთეულთა თანრიგში **დალიდა ქადარია** სტარტზევე დამარცხდა ლატვიელ პატრისია სპაკასთან - 2:6, 3:6, ხოლო **ლაშა გიორგი კიკვიძემ** ბელარუს მაქსიმ ბოლზანთან წააგო - 3:6, 4:6. თუმცა იგი კონსოლეიშენის ტურნირში განაგრძობს პაექრობას და პირველ წრეში ნოიუს პოსკას (ლიტვა) სძლია - 4:1, 4:3. მეოთხედფინალში მისი მეტოქეა ბრინჯარ ენგილბერტსონი (ისლანდია).

დალიდა ქადარია წყვილებში ყოჩაღობს. ქართველი ჩოგბურთელი მაკედონიელ იანა ოგნიანოვსკასთან ერთად ტურნირის რეიტინგფავორიტია. ისინი პირველ წრეში თავისუფალი იყვნენ. გუშინ მეოთხედფინალში ყაზახების - მილანა მაიდანოვას და კამილა შაილინას დუეტს აჯობეს - 6:1, 6:2. ნახევარფინალში მაკედონიურ-ქართული ტანდემის მეტოქე დღეს გამოვლინდება ელინა ვიტკევიჩუიტე (ლიტვა), ვიქტორია ჟაჯინსკაიას (ბელარუსი) და ლისი კუბრე (ესტონეთი), პატრისია სპაკას (ლატვია) დუეტების პაექრობაში.

წარმატებით ითამაშა წყვილებში ლაშა გიორგი კიკვიძემაც. მისი პარტნიორიც მაკედონიელია - ჯორჯი იანკულოვსკი. პირველ წრეში მათ ბრინჯარ ენგილბერტსონსა (ისლანდია) და მაქსიმ ზმიევსკის (ბელარუსი) მოუგეს - 6:1, 6:1. დღეს მეოთხედფინალში ლაშა გიორგი და ჯორჯი ლატვიელებს - ედვინას გრიმაიტისსა და იუსტას ტრაინაუსკასს დაუპირისპირდებიან.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# ქალები ლოპოტაში ემზადებიან

წლეულს 1-14 აგვისტოს ნორვეგიის ქალაქი ტრომსო მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის ქალთა ნაკრები ლოპოტაში ემზადება, სადაც მოჭადრაკეებისთვის შესანიშნავი პირობებია როგორც თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობების, ისე აქტიური დასვენებისთვის. ამ ეტაპისთვის ცნობილია ნაკრების ოთხი წევრი - **ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია** და **ლელა ჯავახიშვილი** (კაპიტანი **ნინო გურიელი**). მათთან ინდივიდუალურად **ზურაბ სტურუა, ხვიჩა სუპატაშვილი** და **დავით ჯოჯუა** მუშაობენ. მეხუთე მონაწილე მოგვიანებით გახდება ცნობილი.

**ვაჟა დანელია**


მარცხნიდან: ლელა ჯავახიშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ნინო გურიელი, ზურაბ სტურუა, ხვიჩა სუპატაშვილი, ნანა ძაგნიძე და სალომე მელია

# ლიდერობა შეინარჩუნა

ინდურ ბუბანეშვარში მოჭადრაკეთა მე-6 საერთაშორისო ფესტივალზე გუშინ ორი ტურის პარტიები გათამაშდა. **მერაბ გაგუნაშვილმა**, რომელიც სამი ტურის შემდეგ ორ ინდოელ საერთაშორისო ოსტატთან ერთად პირველ-მესამე ადგილებს იყოფდა, მე-4 ტურში არვინდხ ჩიტამბარამს (ინდოეთი) მოუგო, მეხუთეში კი შავი ფიგურებით ალექსეი ალექსანდროვს (ბელარუსი) დაუზავდა და 4,5 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეშია. მართალია, მასპინძლებმა ჩანდა სანდიპანმა, სური ვაიბხავმა და მიშრა სვაიამსმა, შესაბამისად, ნარაიანან სუნილდუტს, კარტიკსა და რატანაკარანს (სამივე-ინდოეთი) სძლიეს, 4,5-4,5 ქულა მოაგროვეს, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ.

გუშინ წარმატებით ითამაშა დანარჩენმა სამმა ქართველმა დიდოსტატმაც: **მიხეილ მჭედლიშვილმა** უზბეკი ულუგბეკ ტილიაევი დაჯაბნა, **ლევან ფანცულაიამ** და **ლუკა პაიჭაძემ** ინდოელებს - ჰიმალ გუსაინსა და შარმა ჰემანტს გააჩერებინეს საათი. სამივეს 3,5-3,5 ქულა აქვს და ლიდერებს თითო ქულით ჩამორჩებიან.

დღეს მე-6 ტურში ინტერესს იწვევს ლიდერების - ჩანდა სანდიპან-სური ვაიბხავის, მერაბ გაგუნაშვილი-მიშრა სვაიამის ორთაბრძოლები. მიხეილ მჭედლიშვილი რატნაკარანს შეხვდება თეთრებით, ხოლო ლევან ფანცულაია და ლუკა პაიჭაძე შავი ფიგურებით კარტიკეიანსა და კრიშნა რაის (ორივე-ინდოეთი) გაუწევენ მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ირაკლი ხოშტარიასთან

# დინამოს წარმატების საიდუმლო



ირაკლი ხოშტარია

**თბილისის „დინამომ" სუპერლიგის წლევანდელი სეზონის რეგულარული ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა, მეოთხედფინალში „ოლიმპი" (3:0), ხოლო ნახევარფინალში „ბათუმი" (3:0) დაამარცხა, ხოლო ფინალურ სერიაში „ქუთაისთან" 3:1 იმარჯვა. ძლიერი გუნდი იყო და გამარჯვებაც ლოგიკურიაო, - იტყვით. თუმცა საინტერესოა, რამ განაპირობა „დინამოს" სიძლიერე. ამას მთავარი მწვრთნელის ირაკლი ხოშტარიას ინტერვიუდან შევიტყობთ, რომელმაც სამწვრთნელო საქმიანობა 2.5 წლის წინ დაიწყო და მიმდინარე სეზონში პირველი ღირებული ჯილდოც მოიგო.**

- სასიამოვნოა, რომ მდიდარი ტრადიციების მქონე გუნდი, „დინამო" დიდი ხნის შესვენების შემდეგ საქართველოს ჩემპიონი გახდა. საკალათბურთო მწვერვალზე დაბრუნება გუნდის ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

**- მაინც რამ განაპირობა „დინამოს" გაჩემპიონება?**

- არაერთმა ფაქტორმა, შემადგენლობის შერჩევით დაწყებული, დისციპლინითა და პროფესიონალიზმით დამთავრებული. ქართველები დისციპლინაში ყოველთვის მოვიკოჭლებთ, მაგრამ როგორც მწვრთნელს, მაქვს პრეტენზია გუნდში, სადაც ვმუშაობ დისციპლინა ყოველთვის მაღალ დონეზე იდგეს.

**- „ლელოს" გამოკითხვაში ჩემპიონატის საუკეთესო სამეულში ლაშა გამყრელიძე და სტევან მილოშევიჩი დაასახელეთ, რას ნიშნავენ ისინი „დინამოსთვის"?**

- ყველა კალათბურთელმა თავისი საქმე გააკეთა და ჩემპიონებიც ამიტომ გავხდით. კაპიტანს გუნდში დიდ როლს ვანიჭებ, ლაშა გამყრელიძეს პირდაპირ ვეუბნებოდი, რის გაკეთებას ვითხოვდი მოედანზე და თამაშისას შესრულებას სწორედ ის განაპირობებდა. რაც შეეხება ცენტრ სტევან მილოშევიჩს, მას ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ უკეთ თამაში შეეძლო, რისთვისაც ბევრს შრომობდა და ზუსტად ისე ასრულებდა ყველა დავალებას, როგორც მისგან მოვითხოვდი. იგი ყოველგვარ პირადულს გვერდზე დებდა და გუნდისთვის მუშაობდა. დიდი სარგებლობა მოგვიტანა ქიენ კარტერმა, ბესიკ ლეჟავა და მიხეილ ჭოჭუა კი განსაკუთრებით მეორე წრიდან ათამაშდნენ სწორად, გუნდურად და ჩემპიონობაში დიდი წვლილიც შეიტანეს. თითოეული კალათბურთელისადმი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

**- განვლილ ჩემპიონატში მაინც რა იყო „დინამოს" სამარკო ნიშანი?**

- არის ერთი ტაქტიკური კომპონენტი, რომელიც განხილვას არ ექვემდებარება: დაცვაში გუნდურად, მტკიცედ მოქმედება, რის შემდეგაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს სწრაფი შეტევა.

**- ყოველგვარ ტაქტიკურ მონახაზს შესაბამისი კონტინგენტი სჭირდება...**

- „დინამოში" საიმისო რესურსი არის, რომ ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანოთ - სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს ნელი ცენტრებით თამაში, ამიტომ დავიმატეთ მობილური სტევან მილოშევიჩი და მძიმე ფორვარდი ქიენ კარტერი, რომელსაც ძალიან სწრაფად შეუძლია დაცვიდან შეტევაში გადასვლა. ქართველ უკანახაზელებზე ალარაფერს ვამბობ...

**- რეგულარული ეტაპის მოგების შემდეგ პლეი ოფი ერთი შეხედვით იოლად გაიარეთ.**

- ერთი შეხედვით ჩანდა ასე, თორემ, რომ არა ძალების მაქსიმალური მობილიზება, მეოთხედფინალში „ოლიმპთან" ასე ვერ მოვიგებდით, კარგი გუნდი იყო. „ბათუმმა" მეოთხედფინალიდან „შსს აკადემია" გამოთიშა, რაც მის სიძლიერეს უსვამს ხაზს. ტემპი ნახევარფინალშიც შევინარჩუნეთ და ბათუმელებს 3:0 ვძლიეთ. „ქუთაისთან" ფინალურ სერიაში კი 3:1 გავიმარჯვეთ. ამასაც მობილიზების და კალათბურთელთა პროფესიონალიზმის ხარჯზე მივაღწიეთ. არ დამავიწყდება ქუთაისში გამართული ფინალური სერიის მეოთხე შეხვედრა, რომლის დასრულების შემდეგაც ადგილობრივმა ქომაგმა ტაში დაგვიკრა. დარბაზში შეხვედრის დაწყებიდან ბოლომდე საოცარი ატმოსფერო სუფევდა. ნამდვილად სასიამოვნო იყო ასეთ გარემოში თამაში.



ლაშა გამყრელიძე ქუთაისელებს, დავით ბარბაქაძესა (13) და აკაკი დვალიშვილს გასცდა

**- „ქუთაისთან" ერთად „დინამოსაც" გამორჩეული ქომაგი ჰყავს...**

- კალათბურთელები კარგად გრძნობდნენ და ახლაც გრძნობენ ქომაგის სიყვარულს, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მათთვის მადლობა საქმით გადაეხადათ და სეზონის ბოლოს საჩუქარი გაეკეთებინათ. მოხარული ვარ, რომ ჩვენ ეს შევძელით.

**- ვლაპარაკობთ ჩემპიონობაზე, მოგებებზე... თუმცა 2013-14 წლების სეზონში იმედგაცრუებაც იყო - ბევრისთვის მოულოდნელად, „დინამო" საქართველოს თასის ნახევარფინალიდან ბრძოლას „სოხუმმა" გამოთიშა.**

- სეზონის დასაწყისიდან ვმუშაობდით ტაქტიკაზე, ვცდილობდით სწორად გვეთამაშა. გუნდის გამართვას კი დრო სჭირდება და თასის მატჩები სწორედ შუა სეზონში ჩატარდა, როცა ბოლომდე არ ვიყავით აწყობილები. „სოხუმის" გარჯას ვაფასებ, დამსახურებულად მოიგო, თუმცა სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ თასიდან გამოთიშვა ჩემი შეცდომების ბრალი იყო.

**- რა მისცა წლევანდელმა სეზონმა ირაკლი ხოშტარიას როგორც მწვრთნელს?**

- ყოველ თამაშს, ყოველ ვარჯიშს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი, გამოცდილებას ვაგროვებდი, რაც ნებისმიერი მწვრთნელის კარიერისთვის მნიშვნელოვანია. ბევრი შევიძინე კალათბურთელებთან ურთიერთობით. ავიღოთ, თუნდაც მილოშ პეშიჩი, რომელიც უხვი ქულებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ საერთო ჯამში მეტად პროდუქტიული იყო. იგი ჩემი მარჯვენა ხელი გახლდათ.

**- თუნდაც ახალდასრულებული ჩემპიონატიდან გამომდინარე, საინტერესოა, გუნდის წარმატებისთვის რა უფრო მნიშვნელოვანია, კარგი დიპლომატობა და ურთიერთობები, თუ დიდი ტაქტიკოსობა?**

- მწვრთნელმა ტაქტიკური მუშაობა რომ უნდა იცოდეს, ამაზე სხვა აზრი არ არსებობს. არანაკლებ მნიშვნელოვანია გუნდის კალათბურთელთა სწორად შერჩევა, გარდა ფიზიკური შესაძლებლობებისა, მოთამაშეს პიროვნულადაც კარგად უნდა იცნობდე და მთავარია, ამაში არ შეცდე. რაც შეეხება გუნდის შენების პროცესს, ჩემთვის მთავარი დისციპლინა და სამართლიანობაა. თითოეული მოთამაშე უნდა გრძნობდეს, რომ მწვრთნელის თითოეული მოქმედება სამართლიანია. მოკლედ, წარმატების მისაღწევად უამრავი ნიუანსია გასათვალისწინებელი და თუ რომელიმე ამოვარდა, შედეგს აღარ უნდა ელოდო. დიდი ხანი არ არის, რაც სამწვრთნელო საქმიანობას მოვკიდე ხელი და ვცდილობ თითოეულ შეცდომაზე ვისწავლო და შედეგები გავაუმჯობესო.

**- საამისოდ ევროპასთანაც მუდმივი კონტაქტია საჭირო...**

- „დინამოს" ხელშეწყობით გასულ ზაფხულსაც ვიყავი სამწვრთნელო სემინარებზე ბალტიისპირეთსა და თურქეთში. წლეულსაც ვაპირებ წასვლას. ამასთან, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ასისტენტად დავინიშნე და 20-წლამდელებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სასარგებლო გამოცდილებასაც მივიღებ.

**- „დინამო" სსრ კავშირის ხუთგზის გამარჯვებულია, საქართველოს ჩემპიონატი კი სულ სამჯერ აქვს მოგებული. დღეს თუ შეგიძლიათ თქვათ, რომ მომავალ სეზონში მეოთხე ჩემპიონობისთვის იბრძოლებთ?**

- ამჟამად ვერაფერს ვიტყვი, ამ საკითხში უფრო კომპეტენტური გუნდის პრეზიდენტია. თუმცა ჩემი და ყველა დინამოელის სურვილია გუნდის სახე შენარჩუნდეს და არა მხოლოდ მომავალ სეზონში ვიბრძოლოთ საქართველოს ჩემპიონობისთვის, არამედ ევროსარბიელზე გავიდეთ. ჩვენი კალათბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩემპიონის ევროპულ გუნდებთან გაჯიბრება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*გიორგი ჯიქიასა და თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*






| № | დინამო | თ | წთ | 2ქ/ჩ | 2ქ/ნ | % | 3ქ/ჩ | 3ქ/ნ | % | 1ქ/ჩ | 1ქ/ნ | % | მ/მეტ | მ/საკ | მ/სულ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ლაშა გამყრელიძე | 22 | 29.5 | 2.5 | 5.6 | 43.9 | 0.9 | 2.7 | 33.9 | 2.1 | 3 | 70.1 | 0.6 | 3.8 | 4.4 | 8.1 | 2.1 | 2.8 | 1.6 | 0 | 9.8 |
| 5 | სოსო ლეჟავა | 14 | 8.9 | 0.7 | 1.3 | 55.6 | 0.3 | 1.4 | 21.1 | 0.1 | 0.1 | 100 | 0.2 | 0.9 | 1.1 | 1.4 | 0.5 | 0.4 | 0.4 | 0 | 2.4 |
| 6 | ქიენ კარტერი | 26 | 25.9 | 6.4 | 11.7 | 54.8 | 0.3 | 0.7 | 36.8 | 1.8 | 2.9 | 62.7 | 3 | 5.6 | 8.6 | 1.3 | 1.7 | 1.6 | 1.3 | 0.6 | 15.4 |
| 7 | ბესიკ ლეჟავა | 26 | 28.9 | 3.1 | 5.9 | 52.9 | 1.8 | 5.4 | 34 | 1.3 | 1.8 | 71.7 | 0.8 | 2.8 | 3.6 | 3.4 | 1.7 | 2 | 0.9 | 0.2 | 13 |
| 8 | გიორგი ვახანია | 10 | 5.7 | 0.5 | 1.4 | 35.7 | 0.4 | 0.7 | 57.1 | 0.5 | 1.1 | 45.5 | 0.2 | 0.6 | 0.8 | 0.7 | 1.1 | 0.4 | 0.5 | 0 | 2.7 |
| 9 | იოსებ ბიბილური | 10 | 4.1 | 0.9 | 1.5 | 60 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.4 | 0 | 0.9 | 0.9 | 1.8 | 0.2 | 0.9 | 0.5 | 0 | 0 | 1.8 |
| 10 | ზეზვა ლილუაშვილი | 18 | 13.1 | 0.9 | 2.1 | 45.9 | 0.4 | 1.7 | 22.6 | 0.1 | 0.2 | 50 | 0.3 | 1.1 | 1.4 | 2 | 1.2 | 0.7 | 0.7 | 0 | 3.2 |
| 11 | სტევან მილოშევიჩი | 26 | 27 | 6.5 | 10.5 | 62.3 | 0 | 0.1 | 0 | 3.5 | 5 | 70 | 4.3 | 8.7 | 12.9 | 1.8 | 1.3 | 1.9 | 0.5 | 1.4 | 16.6 |
| 12 | მილოშ პეშიჩი | 26 | 20.4 | 3.3 | 6.5 | 51.2 | 0.7 | 1.9 | 38.8 | 1.5 | 2.5 | 61.5 | 1.7 | 3.6 | 5.3 | 1.9 | 2 | 1.4 | 0.6 | 0.4 | 10.4 |
| 13 | მიხეილ ჭოჭუა | 24 | 26 | 2.6 | 4.6 | 56.8 | 1.5 | 3.4 | 44.4 | 1.3 | 1.8 | 70.5 | 0.5 | 2.5 | 3 | 2.3 | 2.8 | 1.4 | 0.8 | 0.2 | 11 |
| 15 | ზვიად ანთაძე | 15 | 10.7 | 1.3 | 2.1 | 59.4 | 0.3 | 1 | 26.7 | 0.6 | 0.9 | 69.2 | 1.2 | 2.1 | 3.3 | 0.7 | 1.1 | 0.3 | 0.7 | 0.2 | 3.9 |
| 20 | გიორგი ორმოცაძე | 19 | 7.5 | 0.4 | 0.9 | 41.2 | 0.2 | 1.5 | 14.3 | 0.1 | 0.2 | 66.7 | 0.8 | 0.4 | 1.2 | 0.5 | 0.9 | 0.2 | 0.5 | 0 | 1.5 |
| 24 | ბოშკო სტოიაკოვიჩი | 18 | 19.9 | 1.7 | 3 | 57.4 | 0.6 | 2.2 | 25 | 1.4 | 1.9 | 73.5 | 0.8 | 2.2 | 3 | 4.1 | 2.4 | 0.7 | 1 | 0 | 6.5 |
| 35 | გიორგი თვალაბეიშვილი | 2 | 10 | 1.5 | 3.5 | 42.9 | 0 | 0.5 | 0 | 1 | 1 | 100 | 1 | 3 | 4 | 0 | 2 | 0 | 0.5 | 0 | 4 |

შენიშვნა: თ - თამაში, წთ - წუთი, 2ქ/ჩ - ჩაგდებული ორქულიანი, 2ქ/ნ - ნატყორცნი ორქულიანი, 3ქ/ჩ - ჩაგდებული სამქულიანი, 3ქ/ნ - ნატყორცნი სამქულიანი, 1ქ/ჩ - ჩაგდებული საჯარიმო, 1ქ/ნ - ნატყორცნი საჯარიმო, მ/მეტ - მოხსნა მეტოქის ფარზე, მ/საკ - მოხსნა საკუთარ ფარზე, მ/სულ - მოხსნა სულ, პ - პასი, ფ - ფოლი, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ქ - ქულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

U-19

# კლოდ სორელი იამაყებდა

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ინგლისში გამართულ ტურნეში მეორე შეხვედრაში საგრაფოების 20-წლამდელთა ნაკრებს 23:22 მოუგო. ამ მატჩმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ადგილობრივმა მედიამ რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა. გთავაზობთ ამონარიდს წერილიდან, რომელიც www.cambrifge-news.co.uk - ზე გამოქვეყნდა.**

„ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი, რომელიც ქართული რაგბის წარმატებების სათავეში იდგა, იმ დღეს „ვოქალ პარკზე“ რომ ყოფილიყო, ნამდვილად იამაყებდა ქართველებით. ნახავდა, რამდენად წინ წასულა, განვითარებულა ქართული რაგბი.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ინგლისის საგრაფოების 20-წლამდელთა გუნდს მოუგო. მატჩის კულმინაცია დასკვნითი გიჟური ათი წუთი იყო, რომლის დროსაც წინ ხან ერთი გუნდი გადიოდა, ხან მეორე. ბოლოს ქართველებს გამარჯვება ფულბეკ გიორგი ბაბუნაშვილის საჯარიმომ მოუტანა.

მატჩის ერთადერთი ხინჯი მეორე ნახევარში ატეხილი მუშტი-კრივი იყო, რომლის შემდეგაც არბიტრმა მოედნიდან ჯეკ კალვერჰაუზი და თორნიკე მატარაძე გააძევა. თუმცა ამ მართლაც ძალიან ცუდი ფაქტის მიუხედავად, ეს ბწყინვალე მატჩი დიდხანს არ წაიშლება იმ ადამიანების მეხსიერებიდან, ვინც იმ დღეს სტადიონზე იყო.



საქართველო U 19-საგრაფოები U 20

**„ჭიდაობა მათი სპორტის ეროვნული სახეობაა. ამიტომ, კარგად ვიცოდით, რომ ფიზიკურად ძლიერ მოწინააღმდეგესთან მოგვიწევდა თამაში. ქართველების რაგბი გამძლეობაზე, ამტანობაზეა დაფუძნებული. შარშან კოლეჯის გუნდთან ერთად თბილისში ვითამაშე მათ 18-წლამდელთა ნაკრებთან. ისინი ისე მოდიან, შეჩერება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.**

**დღეს ჩვენმა მეტოქემ გაცილებით უკეთ ითამაშა, ვიდრე ველოდით. ძალიან სასიამოვნოა ასეთ სარაგბო ერთან ურთიერთობა. ვფიქრობ, იქ დიდი ფული უნდა ჩაიდოს, რათა კიდევ უფრო წინ წავიდნენ და პოტენციალი სრულად გამოავლინონ“** - თქვა საგრაფოების 20-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **ბენ პენფილდა.**

პენფილდი ბევრს ეცადა, მაგრამ ძალზე დინამიკურ და მოქნილ ქართველთა მგეზავ რეზო ჯინჭველაშვილს ვერაფრით აჯობა. ერთ-ერთ ეპიზოდში, როცა თითქოს ლელო გარდაუვალი იყო, ჯინჭველაშვილმა მას ბურთი ხელიდან გამოსტაცა.

**„მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლომდე შემართებით იბრძოლეს. თუმცა, ცხადია, გამარჯვების მოპოვების შანსი ჩვენც გვქონდა.**

**ქუდს ვიხდი საქართველოს წინაშე. ქართველი მორაგბეები შინ გახარებულნი დაბრუნდებიან და ამ ქვეყნის რაგბის განვითარებას განაგრძობენ“** - დასძინა ნამატჩევს ინგლისის 20-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბობ ჰუდმა.“

ლეგიონერები

# გიო სორდია – ლერწამი თბილისიდან

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ლილში“, რომლის ერთ-ერთი მწვრთნელი საქართველოს ნაკრების ყოფილი მესამეხაზელი დავით ბოლღაშვილია, ნიჭიერი ქართველი მესამეხაზელი გამოჩნდა.**

20 წლის **გიორგი სორდია**, ცხადია, არც საქართველოს შესაბამისი ასაკის ნაკრების მწვრთნელებს დარჩენიათ შეუმჩნეველი. ის გუნდში მიიწვიეს და წლეულს, ჰონგკონგში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე ათამაშეს.

ახლახან, სორდიას კლუბმა „ლილმა“ ფედერალ 1 დივიზიონის პლეი ოფში ითამაშა და ნახევარფინალში „მონტობანთან“ დამარცხდა. მიუხედავად ამისა, ჩვენს თანამემამულეს ფრანგულ მედიაში დიდად აქებენ. აი რას წერს მასზე www.lavoixdunord.fr პუბლიკაციაში სათაურით „გიო სორდია - ლერწამივით ქართველი თბილისიდან, „ლილის“ აწმყო და მომავალი.

*„ლილის“ უდიდესი იმედი გიორგი სორდიაა. მას ოცი წელი ახლახან, 12 მაისს შეუსრულდა. ქართველი მორაგბე ძირითად გუნდში მარტის თვეში ჩაირიცხა და უკვე ჩრდილოეთ საფრანგეთის სარაგბო თემში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა.*

***„გიო, ეს არის ლერწამი. ის იბრძვის და არასდროს არღვევს წესს, შთამბეჭდავია. ბურთით ხელში, აუტში მან ყველაფერი იცის, არაფერი ეშლება. ის სულ რაღაც 20 წლისაა და არაფრის ეშინია. სამი თვეა, რაც ჩვენთან ვარჯიშობს და უკვე გუნდში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ეს ძალიან კარგია.*** - თქვა „ლილის“ მეორეხაზელმა პიერ ანტუანმა.

უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა ტალანტი როგორც იქნა თავის, მესამეხაზელის პოზიციაზე თამაშობს.

**„სანამ „ლილში“ გადმოვიდოდი „კომპიენსა“ და „ბოვეში“ მგეზავად მათამაშებდნენ. აქ რომ გადმოვბარგდი, უეცრად გავიზარდე და მესამე ხაზში დავიწყე თამაში. ადრე სულ ბურთთან ვიყავი. ახლა სხვა ამპლუაში ასპარეზობისას თამაშის მანერაც შემეცვალა. თავიდან ძალიან მიჭირდა. მამაჩემიც კი მეუბნებოდა, ამ პოზიციაზე არ მეთამაშა. მან (დავით სორდია „მარკან ბაროეს“ ყოფილი მორაგბე) თავის კარიერაში რამდენიმე პოზიცია გამოიცვალა. საქართველოში გარემარბი იყო, მერე საფრანგეთში მეორე-მესამე ხაზში ასპარეზობდა. ეს ყველაფერი გამოცდილი ჰქონდა და იცოდა, რამდენად რთული იქნებოდა ახალ ამპლუასთან შეგუება** - იხსენებს გიო.

ცხადია, ის ფიზიკურად ძალიან ძლიერი არ არის, მაგრამ უაღრესად ტექნიკურია. მას მერე, რაც გასტონ ბარუეს უნივერსიტეტში მართვის ტექნოლოგიას ეუფლება, მისი თამაშის ხარისხი კიდევ უფრო გაიზარდა. ახლა „ლილი“ ელიტურ, მეორე დივიზიონში გადასვლისთვის იბრძვის. თუ ეს მოხერხდა, გიორგი სორდიას ესპუარის კონტრაქტს შესთავაზებენ. ეს მან ნამდვილად დაიმსახურა.



გიორგი სორდია

ლელობურთი



გურიის ლელოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დიმიტრი ცინცაძე და მარტვილის გუნდი

# ლელო ოზურგეთში

**გრძელდება ლელოსა და რაგბის ფესტივალები დასავლეთ საქართველოში. საფესტივალო ასაკის, 2000-2001 წლებში დაბადებული მორაგბეები ამჯერად ოზურგეთში შეიკრიბნენ.**

შეჯიბრებაზე რეკორდული რაოდენობა, 21 გუნდი ჩავიდა. როგორც რაგბიში, ასევე ლელოში მეტად დაძაბული თამაშები გაიმართა. კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ჩვენს ქვეყანაში პირველად ისტორიაში ბავშვთა შორის ოფიციალურ შეხვედრებს ლელოში ასპარეზობენ მორაგბეები და ეს იმის გამოა, რომ შედგა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის, **გიორგი ნიჟარაძისა** და საქართველოს ლელოს ფედერაციის პრეზიდენტის, **ვახტანგ კაპანაძის** შეთანხმება ერთობლივი ფესტივალების ჩატარების თაობაზე.

საქართველოში მხოლოდ ორი თვეა, რაც ლელოს ფესტივალები იმართება, მაგრამ ბავშვებმა უკვე კარგად შეისწავლეს თამაშის მარტივი წესები. ვინც ოზურგეთში ნახა მარტვილისა და ხობის, განსაკუთრებით კი ჩოხატაურისა და ოზურგეთის გუნდების თამაშები, დაგვიდასტურებს, რომ ლელოსაც ისეთივე კარგი მომავალი ექნება საქართველოში, როგორიც რაგბის.

## „ლონეს“ თასი მარტვილს

ჩოხატაურში გამართულ ბავშვთა ლელოსა და რაგბის ფესტივალის დროს გამოჩენილი მორაგბისა და ლელობურთელ ავთანდილ გიორგაძის, მეტსახელად „ლონეს“, სახელობის თასი გათამაშდა. გურიის რეგიონის ლელოს ფედერაციის მიერ დაწესებული პრიზი მარტვილის გუნდმა მოიგო, რომელმაც ფინალში ხობის გუნდი დაამარცხა.

მეტოქე

# პუმები მომავალს ცდიან

**საქართველოს ნაკრების მეტოქე მსოფლიოს თასზე არგენტინის ეროვნული გუნდი ივნისის ტესტებზე სამ მატჩს გამართავს ირლანდიისა და შოტლანდიის ნაკრებებთან. „პუმების“ მთავარმა მწვრთნელმა დანიელ ურკადმა იმ მოთამაშეების 31-კაციანი სია გააცხადა, რომლებიც ამ შეხვედრებში იასპარეზებენ.**

აღსანიშნავია, რომ არგენტინელთა თავკაცი ძირითადად შინაურ ჩემპიონატში მოასპარეზე მორაგბეები მიიწვია. ლეგიონერთაგან ტესტებზე მხოლოდ **ნიკოლა სანჩესი** (ბორდო), **მანუელ კარისა** (სტორმერზი) და **მატიას დიასი** (ჰაილენდერზი) ითამაშებენ.

*„ჩვენი მიზანია გუნდი 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის სათანადოდ მოვამზადოთ. ამიტომ, ნაკრებში ივნისის ტესტებისთვის ახალგაზრდა მოთამაშეები მოვიწვიეთ. გვინდა მეტი ვათამაშოთ და გამოცდილება მივაღებინოთ. თუ როგორ წარმოაჩენენ ისინი თავიანთ შესაძლებლობებს მსოფლიოს თასისთვის ნაკრების დაკომპლექტებისას მხედველობაში იქნება მიღებული“* - თქვა **დანიელ ურკადმა.**

ზე რაგბის გათამაშებისთვის, რომელშიც არგენტინის ეროვნული გუნდი ახალი ზელანდიის, ავსტრალიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებს დაუპირისპირდება, „პუმებს“ თითქმის ყველა ლეგიონერი დაემატება. ესენი არიან: **ჰორასიო აგუჯა** (ბასი), **მარსელო ბოსხი** (სარასენზი), **მაქსიმილიანო ბუსტოსი, ავგუსტინ კრევი, მარიანო გალარსა, ლეონარდო სენატორე** (სამივე-ვორსტერი), **ხუან მარტინ ერნანდესი, ტომაზო ლავანინი, ხუან იმჰოფი** (მეტრო რასინგი), **ხუან მანუელ ლეგუსამონი** (ლიონი), **ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე** (ტულონი), **პაბლო მატერა** (ლესტერ ტაიგერსი) და **რომირო ერერა** (კასტრი).

**არგენტინა**

**შერკინება:** სანტიაგო კორდერო (ბელა ვისტა), ტომას კუბელი (ატლეტიკი), ხერონიმო დე ლა ფუენტე (როსარიო), ლუკას გონსალეს ამოროსინო (ოიონაქსი), სანტიაგო გონსალეს იგლესიასი (ბიენოს აირესი), მარტინ ლანდახო (სან ისიდორო), მანუელ მონტერო (პუკარა), მატიას მორინი (სიუბიეი), რომირო მოიანო, მატიას ორლანდო, ხავიერ როხასი (სამივე-ტუკმანი), ნიკოლას სანჩესი (ბორდო), ხოაკიმ ტუკულეტი (უგუნდო).

**უკანა ხაზი:** ანტონიო დე შაზალი (სან ისიდორო), მატიას ალემანო (კორდობა), გაბრიელ ასკარატე, სანტიაგო ვალდესი, ლუკას პასი (ტუკმანი), როდრიგო ბესსი, მატიას კორტესი (ლიცეო დე კუიო), მანუელ კარისა (სტორმერსი), ტომას დე ლა ვეგა (უნივერსიტარიო), მატიას დიასი (ჰაილენდერსი), რომირო ერერა (კასტრი), ფაკუნდო ისა (სანტიაგო), ტომას ლავანინი (მეტრო რასინგი), ბენჟამინ მაკომე (უკლუბო), ხულიან მონტოია (ნიუმენი), ხავიერ ორტეგა (ესტუდიანტეს), ბრუნო პოსტილიონი, ნოელ ჩაპარო (ლა პლატა).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA პლეი ოფი

# ამჯერად ბოშმა გაისროლა



კრის ბოში

აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალური სერიის წინა ორმა მატჩმა აჩვენა, რომ „ინდიანას“ მთავარი პრობლემა **ლებრონ ჯეიმსისა** და **დუეინ უეიდის** შეჩერება იყო, რომლებიც ამ სერიაში შესაბამისად 58 და 62 პროცენტის სიზუსტით ისვრიან. ამიტომაც, მეოთხე მატჩში მინიმუმ ერთ-ერთის შეჩერება აუცილებელი გახდა და უეიდის შემთხვევაში, სტუმრებმა ამის გაკეთება მოახერხეს - მცველმა 12-დან მხოლოდ 4 ტყორცნა მოათავსა კალათში.

მაგრამ „პეისერსისთვის“ საუბედუროდ, პირველივე წუთებიდან ახალ თავსატეხად იქცა „მაიამის“ „დიდი ტრიოს“ მესამე წარმომადგენელი **კრის ბოში**, რომელიც მანამდე დიდად არ ახსენებდა თავს მოწინააღმდეგეს - პირველ სამ მატჩში ის სტაბილურად აგროვებდა ცხრა ქულას. გუშინ კი სწორედ მისი სამი ზუსტი ტყორცნით დაიწყო შეხვედრა. წარმატებულმა სტარტმა ბოშზე დადებითად იმოქმედა და საბოლოოდ, 25 ქულით დაეხმარა თავისიანებს.

კარგი დასაწყისის წყალობით, „ჰიტი“ მთელი პირველი ტაიმი ინარჩუნებდა ლიდერობას, მაგრამ „ინდიანაც“ შორს არ უშვებდა მეტოქეს. სტუმრებს ყოველთვის არ გამოსდიოდათ კარგი კომბინაციები, მაგრამ ამის კომპენსირებას მეტოქის ფარზე აქტიურობით და საკუთარი ლიდერების - **პოლ ჯორჯისა** და **დევიდ უესტის** ოსტატობის წყალობით ახერხებდნენ.

სიტუაცია დიდი შესვენების შემდეგ შეიცვალა. „მაიამიმ“ კარგად ისარგებლა მეტოქის ორი შეცდომით და 7:0 გაიქცა, რითაც უპირატესობა 12 ქულამდე აიყვანა. მასპინძლები ამის შემდეგაც საიმედოდ მოქმედებდნენ, იშვიათად აძლევდნენ მოწინააღმდეგეს ბურთის გაკონტროლების საშუალებას და „პეისერსიც“ თანდათან „ჰიტის“ ზეწოლის მსხვერპლი ხდებოდა. „ინდიანას“ კიდევ ერთი ჩავარდნა მესამე მეოთხედის ბოლოს ჰქონდა (ტექნიკური ჯარიმა მთავარ მწვრთნელ **ფრენკ ფოგელს**, აცილება **როი ჰიბერტისგან**, რომელიც მეოთხედ ამ პლეი ოფში უქულოდ გავიდა მოედნიდან, **ლენს სტივენსონის** შეცდომა), რომლის დროსაც „მაიამიმ“ ყველა შეტევა გამოიყენა და სტუმრებს 19 ქულით დაშორდა.

კვლავ ბრწყინვალე იყო ლებრონ ჯეიმსი. დაცვაში ის ყველა სადავო ბურთს ეუფლებოდა და პარტნიორებს აზღვევდა. არანაკლებ აგრესიული იყო მისი მოქმედება შეტევაში - შესვლები, ტყორცნების იმიტაცია - ეს ყველაფერი აბნევდა „ინდიანას“ დაცვას. ამით კი ლებრონი კარგად სარგებლობდა და მეტოქისგან მიტოვებულ პარტნიორებს პასებს ურიგებდა. თუმცა 29 ქულის დაგროვების შემდეგ, ჯეიმსი ჩრდილში მოექცა და იქიდან მაშინ გამოვიდა, როცა „პეისერსმა“ მატჩის გადარჩენა სცადა.

სირენამდე წუთ-ნახევრით ადრე სტივენსონის ფარქვეშ შესვლის შემდეგ სხვაობა 9 ქულამდე შემცირდა. და ლებრონმა იზრუნა, რომ თავიდან აეცილებინა ნერვული დასასრული „მაიამისთვის“. მან საკუთარ ფართან მიიღო ბურთი, მთელი მოედანი გაიარა, ჯორჯის ყურადღება მოადუნა და სამქულიანის ხაზთან მისულმა კოსმოსური სიჩქარე აკრიფა - მისმა ფარქვეშ შესვლამ „ჰიტს“ ორნიშნა უპირატესობა დაუბრუნა. ამას „მეფემ“ ზუსტი საჯარიმოც დაუმატა და ამით ბრძოლა მატჩში დასრულებული იყო.

ეს ნახევარფინალი ისევე მიმდინარეობს, როგორც წინა ორი სერია, როცა „მაიამი“ სტუმრად იწყებდა გამოსვლას. 2011 წელს „ჩიკაგოსთან“ ნახევარფინალისა და 2012 წელს „ოკლაჰომასთან“ ფინალის პირველ შეხვედრას „ჰიტი“ სტუმრად აგებდა, რასაც მოჰყვებოდა ზედიზედ ოთხი მოგება. ახლა იმისთვის, რომ არ დაუშვას 1:4, „ინდიანამ“ აუცილებლად უნდა მოიგოს მეხუთე მატჩი საკუთარ მოედანზე. მაგრამ სერიის გადარჩენა ძალიან რთული იქნება და „მაიამის“ ზედიზედ მეოთხედ ფინალურ სერიაში გასვლის თითქმის ასპროცენტიანი შანსი აქვს.

**მაიამი–ინდიანა 102:90**

27:19, 22:25, 31:20, 22:26

**მ:** ჯეიმსი (32+10 მოხსნა+5 პასი), ბოში (25+6 მოხსნა), უეიდი (15), ალენი (9), კოული (7+3 პასი), ბატიე (5), ჰასლემი (5), ჩელმერსი (4+3 პასი).

**ი:** ჯორჯი (23+7 მოხსნა+3 პასი), უესტი (20+12 მოხსნა+4 პასი), ჰილი (15+4 პასი), სკოლა (12), სტივენსონი (9+5 მოხსნა+4 პასი), მაინმი (5), ბატლერი (3), უოტსონი (3), ჰიბერტი (0+5 მოხსნა).

**სერია:** 3-1

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# ჩემპიონი კრახის პირასაა

დასავლეთის ფინალური სერიის მეოთხე მატჩის წინ „ჩიკაგოს“ საწინააღმდეგოდ რამდენიმე სტატისტიკური ფაქტორი ლაპარაკობდა: „ბლეკჰოქსისა“ და „ლოს ანჯელესის“ დაპირისპირების ბოლო ხუთ პერიოდს თუ ავიღებდით, „კინგზი“ მეტოქეს 10:4-ს უგებდა; სერიის პირველ გასვლით მატჩში „ჩიკაგომ“ ზედიზედ მეათედ წააგო; შარშანდელი „კონ სმიტ ტროფის“ (პლეი ოფის საუკეთესო მოთამაშე) მფლობელმა **პატრიკ კეინმა** ჯერჯერობით ერთი ქულაც ვერ მოიპოვა კონფერენციის ფინალურ სერიაში.

და ამ ყველა ფაქტორმა ამჯერადაც „ჩიკაგოს“ საწინააღმდეგოდ იმუშავა. კალიფორნიელებმა პირველივე პერიოდში თავბრუ დაახვიეს სტუმრებს საგოლე მომენტების რეალიზაციის ეფექტურობით: პირველი პერიოდის შუაში მასპინძლების ანგარიშზე მხოლოდ ოთხი ზუსტი დარტყმა იყო, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა 2:0 დაწინაურებისთვის.

საკუთარი გუნდის უნიათობის შემხედვარე „ჩიკაგოს“ მთავარმა მწვრთნელმა **ჯოელ კვენევილმა** სასწრაფოდ აიღო ტაიმ-აუტი, მაგრამ ძალიან მალე **დასტინ ბრაუნმა** კიდევ ერთი გოლი გაიტანა **კროუფორდის** კარში და ცხადი გახდა, რომ მოქმედ ჩემპიონს უბრალოდ არ ჰქონდა არგუმენტი კალიფორნიელთა მძლავრი თამაშის საწინააღმდეგოდ.

სოლიდური ჩამორჩენის მიუხედავად, „ბლეკჰოქსმა“ სცადა ტემპის მომატება, მაგრამ მეტოქეზე დევნა ბოლომდე მაინც არ შედგა. **პატრიკ კეინმა** მოიპოვა პირველი ქულა ამ სერიაში, „ჩიკაგომ“ კი ორ შაიბამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ არ გაამართლა ავანტიურამ, როცა სირენამდე სამი წუთით ადრე მეკარე კროუფორდი წინა ხაზის მეექვსე მოთამაშით შეცვალეს - ამან სტუმართა კარში მეხუთე გოლი მოიტანა.



მესამე შაიბა ჩიკაგოს კარში

სერიაში ანგარიში გახდა 3:1 და სტასტისტიკა „ჩიკაგოს“ არანაირ შანსს არ უტოვებს: „ლოს ანჯელესმა“ მოიგო ოთხივე სერია, როცა ის 3:1 იყო დაწინაურებული, 2012 წლის საჩემპიონო პლეი ოფში კი მან სამი ასეთი გამარჯვება მოიპოვა. თავის მხრივ, „ჩიკაგომ“ ასეთი დეფიციტით ისტორიაში მხოლოდ ერთხელ მოიგო სერია - ეს შარშან მოხდა „დეტროიტ რედ უინგზთან“ დაპირისპირებაში.

**ლოს ანჯელესი–ჩიკაგო 5:2**

3:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 მუზინი-5 (დაუტი-11, ტოფოლი-5), 2:0 გაბორიკი-10 (კოპიტარი-16), 3:0 დ. ბრაუნი-3 (ჯასტინ უილიამსი-8, მუზინი-6), 4:0 დაუტი-3 (კოპიტარი-17, ჯასტინ უილიამსი-9), 4:1 საადი-4 (როზსივალი-5), 4:2 ბიკელი-7 (კეინი-5, ტეივზი-6), 5:2 პირსონი-3 (ჯ. კარტერი-12).

**სერია:** 3-1

ამბები

**კალათბურთი**

## ნიქსი ბაინუმს შეიკედლებს?

„ნიუ იორკ ნიქსის“ პრეზიდენტი **ფილ ჯექსონი** „ლეიკერსში“ თავისი ყოფილი შეგირდის ენდრიუ ბაინუმის მიწვევას ფიქრობს. ეს კალათბურთელი ამჟამად თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს.

ბაინუმი თებერვალში გადავიდა „ინდიანაში“, მაგრამ ამ გუნდის რიგებში მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა, 7 მაისს კი ცნობილი გახდა, რომ ინდიანაპოლისელებმა დაითხოვეს ერთ დროს ლიგის ერთ-ერთი გამორჩეული ცენტრი.

## დრაგიჩი მსოფლიოზე მიდის

სლოვენიის ნაკრების ლიდერი **გორან დრაგიჩი** მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე თამაშს აპირებს.

*„ეს სეზონში NBA-ში მორალურად და ფიზიკურად ძალიან რთული იყო, ამასთან, პრობლემები მქონდა ფეხთან დაკავშირებით. თავდაპირველად, დასვენებასა და ოჯახთან მეტი დროის გატარებას ვფიქრობდი, მაგრამ ახლა მზად ვარ მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ. ჩემთვის დიდი პატივია წარმოვადგინო სლოვენია ესპანეთში“*, - განაცხადა დრაგიჩმა.

2013 წელს, სლოვენიაში გამართულ ევრობასკეტზე დრაგიჩი სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. იმ ტურნირზე მისი საშუალო სტატისტიკა 15.8 ქულასა და 4.5 შედეგიან პასს უდრიდა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე სლოვენია C ჯგუფში ითამაშებს და მისი მეტოქეები იქნებიან: ლიტვა, ანგოლა, კორეა, მექსიკა და ავსტრალია.

## ანტიჩი: კიდევ ერთი წელი ატლანტაში

მაკედონიელი ვეტერანი **პერო ანტიჩი** კარიერას კვლავაც „ატლანტა ჰოქსის“ რიგებში გააგრძელებს.

*„ვრჩები ატლანტაში, რადგან ამ გუნდთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მომწონს ქალაქი და იქაური გულშემატკივრები. დიდად ვაფასებ ჩემი კარიერის ამ ნაწილს“*, - განაცხადა ანტიჩმა.

NBA-ში ჩატარებულ თავის პირველ სეზონში პერო ანტიჩი „ყველა ვარსკვლავის უქმეებზე“ მიიწვიეს, სადაც მან დებიუტანტებისა და „მეორეწლიანების“ მატჩში მიიღო მონაწილეობა. რეგულარულ ჩემპიონატში მაკედონიელი საშუალოდ 18 წუთს ატარებდა მოედანზე და 7.0 ქულით, 4,2 მოხსნითა და 1.2 შედეგიანი პასით ეხმარებოდა გუნდს.

## კლიპერსს ფასი დაადეს: 1.8 მილიარდი

„ლოს ანჯელეს კლიპერსი“ დაახლოებით 1.8 მილიარდ დოლარად გაიყიდება. ასეთი სასტარტო ფასი დააწესა კლუბის სკანდალურმა მფლობელმა **დონალდ სტერლინგმა**.

„კლიპერსის“ გაყიდვის შესახებ მოლაპარაკებებს მფლობელის მეუღლე **შელი სტერლინგი** აწარმოებს. ცნობილი რასისტული სკანდალის შემდეგ, NBA-ის კლუბის შეძენის სურვილი გამოთქვეს **ოსკარ დე ლა ჰოიამ, ფლოიდ მეივეზერმა, ოპრა უინფრიმ, მეტ დეიმონმა, გრანტ ჰილმა** და კომპანია Microsoft-ის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა **სტივ ბალმერმა**.

კალიფორნიული კლუბისადმი ასეთი ინტერესიდან გამომდინარე, სტერლინგებს აუქციონის ჩატარების იდეა გაუჩნდათ. სპეციალისტების პროგნოზით, ვაჭრობისას კლუბის ფასი 2.2 მილიარდამდე აიწევს.

## რენდოლფი მემფისის ერთგულია

ამერიკული პრესა ირწმუნება, რომ მძიმე ფორვარდი **ზაკ რენდოლფი** თავის ამჟამინდელ კლუბში - „მემფისში“ გააგრძელებს კარიერას. ამის შესახებ თავად კალათბურთელმა განაცხადა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში. მან თქვა, რომ უარს არ იტყოდა „მემფისში“ დარჩენაზე.

შეგახსენებთ, რომ რენდოლფს აქვს შესაძლებლობა, მიმდინარე კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივოს.

წლევანდელ სეზონში ფორვარდი საშუალოდ 17.4 ქულასა და 10.1 მოხსნას აგროვებდა.

**ჰოკეი**

## ორი დანიშვნა ვაშინგტონში

განვლილი სეზონის შემდეგ ხელმძღვანელობის გარეშე დარჩენილმა „ვაშინგტონმა“ გუშინ ორი დანიშვნის შესახებ გამოაცხადა. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარი მწვრთნელის პოსტი დაიკავა **ბარი ტროტცმა**, ხოლო გენერალური მენეჯერის თანამდებობა ერგო **ჯორჯ მაკფის** ყოფილ ასისტენტს **ბრაიან მაკლელანს**.

შეგახსენებთ, რომ ტროტცი ბოლო 15 წლის განმავლობაში „ნეშვილის“ მთავარ მწვრთნელად მუშაობდა და 2013-14 წლების რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ დაითხოვეს პოსტიდან.

## ლიგიდან პატარები გაქრებიან

ცნობილ სატელევიზიო ექსპერტს **დონ ჩერის** მიაჩნია, რომ უახლოესი 5-10 წლის განმავლობაში, დაბალი სიმაღლის ჰოკეისტები ლიგიდან თანდათან გაქრებიან.

*„ასეთ მოთამაშეებს ველარ ვიხილავთ NHL-ში 5-10 წლის შემდეგ და ეს ძალიან მანაღვლებს. დააკვირდით ამ ჰოკეისტებს - როგორ დაქრიან ყინულზე, როგორ იცილებენ ძალისმიერ ილეთებს... კანადის ჰოკეის ფედერაციამ ბავშვთა ლიგებში შეცვალა წესები, რომელიც ძალისმიერ ორთაბრძოლებს ეხება და მალე ახალგაზრდებს არ ეცოდინებათ, როგორ აიცილონ თავიდან უხეში თამაში. ეს ძველი ისტორიაა იმის შესახებ, როგორ შეიძლება კეთილი სურვილებით ჯოჯოხეთისკენ გზის გაკვალვა“*, - განაცხადა ჩერიმ.

**ფორმულა 1**

## ალონსოს საპატიო მისია

**ფერნანდო ალონსომ** დასავლეთის საავტომობილო კლუბის (ACO) მიწვევა მიიღო და ის გახდება ლე მანის 24-საათიანი ლეგენდარული რბოლის ისტორიაში ფორმულა 1-ის პირველი მოქმედი პილოტი, რომელიც სახელგანთქმულ რბოლას მისცემს სტარტს.

ცნობილ პიროვნებებს შორის, რომლებსაც წინა წლებში ამგვარი პატივი ერგოთ, „ფერარის“ პრეზიდენტი **ლუკა დი მონტეძემოლო** (2009), ლე მანის ექვსგზის ჩემპიონი **ჯეკი იქსი** (2000), მსახიობი **სტივ მაქქუინი** (1971) და „იაგუარის“ მარკის მფლობელი სერ **ჯონ იგენი** (1986) იყვნენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. როლან გაროსი

# პარიზი ჩემპიონების გარეშე დარჩა


კაროლინ ვოზნიაცკი

სამი სათამაშო დღის შემდეგ, როლან გაროსზე პირველი წრე დასრულდა. საწყისი რაუნდი უცნაური გამოვიდა - არც ქალთა და არც მამაკაცთა ბადეში აღარ დარჩნენ ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონები: გუშინ, **სტანისლას ვავრინკას** ბედი გაიზიარა ჩინელმა **ნა ლიმ**. ასეთი რამ „ღია ერაში“ პირველად მოხდა.

მეორე ნომრად განთესილი ჩინელი მსოფლიოს 103-ე ჩოგანს ფრანგ **კრისტინა მლადენოვიჩს** ეთამაშებოდა, რომელიც იუნიორთა დონეზე როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონია, მაგრამ „უფროსებში“ აქამდე ხმაურიანი გამარჯვებები არ ჰქონია.

პირველ პარტიაში ფრანგი არა მხოლოდ საკუთარი მოწოდების შენარჩუნებას, არამედ მიღებაზე აგრესიულ თამაშს ცდილობდა. მლადენოვიჩი წყვილთა თანრიგში ცნობილი მოთამაშეა და ეს ბადესთან მოქმედებაში დაეხმარა. მან გაჭირვებით, მაგრამ შეძლო სეტზე ჩაწოდება და პარტია 7:5 მოიგო. ამის შემდეგ ინიციატივა ნა ლის მხარეს გადავიდა - მან შეძლო ბრეიკის გაკეთება და დამაჯერებლად მიიყვანა მეორე სეტი გამარჯვებამდე - 6:3. თითქოს ნა ლის კლასისა და გამოცდილების ხარჯზე მოგებამდე უნდა მიეყვანა საქმე, მაგრამ აქ უცნაური რამ მოხდა. ჩინელი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და გადამწყვეტ სეტში ყველაფერი მისი განადგურებით დასრულდა - 1:6.

■ ■ ■

ელიტის სხვა წარმომადგენლებს ყველაფერი წესრიგში ჰქონდათ. ტურნირის მეოთხე ნომერი **სიმონა ჰალეპი** შარშანდელ როლან გაროსზე TOP50-ის მიღმა იმყოფებოდა, ახლა კი ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია და მან ეს პირველი წრის მატჩში დაამტკიცა. რუსმა **ალისა კლეიბანოვამ** ყველა კომპონენტში წააგო დუელი რუმინელ ჩოგბურთელთან და მხოლოდ ორი გეიმის აღება შეძლო. რუსისთვის კატასტროფული იყო უნებლიე შეცდომებს შორის სხვაობა - 32 6-ის წინააღმდეგ.

დამაჯერებელი სტარტი გამოუვიდა **ანა ივანოვიჩს**. სერბს თითქოს არ გაუმართლა წილისყრის მხრივ, რადგან პერსპექტიული ფრანგი **კაროლინ გარსია** ერგო მეტოქედ. 20 წლის გარსიას აქტივში უკვე ორი ტიტული და **სერენა უილიამსსა** და **მარია შარაპოვაზე** გამარჯვებები მოდის. მაგრამ ადგილობრივი პუბლიკა ვერ დაეხმარა გარსიას ივანოვიჩის მხრიდან ზეწოლისას და სერბი მეორე წრეში გავიდა - 6:1, 6:3.

ანამ პირველი მოწოდებით ქულების 73 პროცენტი აიღო, გარსიამ - მხოლოდ 50. დიდი სხვაობა იყო უნებლიე შეცდომებშიც - 18:34. ივანოვიჩმა სეზონში 31-ე მატჩი მოიგო და გაუთანაბრდა ამ წლის ლიდერებს - **აგნიეშკა რადვანსკასა** და **კარლა სუარეს ნავაროს**.

მოულოდნელობას ვერ ვუწოდებთ **კაროლინ ვოზნიაცკის** მარცხს ბელგიელ **იანინა ვიკმაიერთან**. დანიელი სულ ახლახან დაშორდა შეყვარებულს და, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიური განწყობის მხრივ სერიოზული პრობლემა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ვოზნიაცკის თამაში არ ჩაუგდია, უბრალოდ, მეტოქე უკეთ გამოიყურებოდა, განსაკუთრებით მესამე სეტში - 7:6(5), 4:6, 6:2.

**ქალები**

**I წრე**

**კამილა ჯორჯი (იტა)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 6:4, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 27)**-სოფია შაფათავა (საქ) 6:3, 6:1; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 23)**-მენდი მინელა (ლუქ) 6:3, 7:5; **კეისი დელაკუა (ავსტრა)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 7:5, 6:3; **ელინა სვიტოლინა (უკრ)**-მეტრა მარტიჩი (ხორ) 5:0 უარი; **ანა ივანოვიჩი (სერ, 11)**-კაროლინ გარსია (საფ) 6:1, 6:3; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 15)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:4, 7:6(8); **პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)**-იანა ჩეპელოვა (სლოვაკ) 6:2, 6:3; **კოკო ვანდევეგე (აშშ)**-ივეტა მელცერი (ჩეხ) 7:6(6), 6:2; **ეკატერინა მაკაროვა (რუს, 22)**-შელბი როჯერსი (აშშ) 6:2, 6:3; **მარია-ტერეზა ტორო-ფლორი (ესპ)**-კლარა კუკალოვა (ჩეხ, 30) 7:6(4), 6:2; **მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 4:6, 6:4, 3:0 უარი; **ჰიზერ უოტსონი (ბრიტ)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:3, 6:4; **სიმონა ჰალეპი (რუმ, 4)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:0, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 6)**-შერონ ფიშმანი (კან) 5:7, 6:1, 6:3; **ტელიანა პერეირა (ბრა)**-ლუკსიკა კუმხუმი (ტაილ) 4:6, 6:1, 6:1; **სორანა კირსტეა (რუმ, 26)**-ალექსანდრ ვოზნიაკი (კან) 6:7(3), 7:5, 6:2; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ, 21)**-დანკა კოვინიჩი (ჩერ) 7:6(6), 6:2; **იულია გლუშკო (ისრ)**-დონა ვეკიჩი (ხორ) 7:5, 2:6, 6:4; **დინა პფიცენმაიერი (გერ)**-ესტრელა კაბესა კანდელა (ესპ) 4:6, 6:3, 6:3; **სარა ერანი (იტა, 10)**-მედისონ კისი (აშშ) 7:5, 3:6, 6:1; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 13) 7:6(5), 4:6, 6:2; **სილვია სოლერ ესპინოსა (ესპ)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:2, 6:3; **კიკი ბერტენსი (ჰოლ)**-ალექსანდრა კადანტუ (რუმ) 7:6(5), 6:1; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 24)**-კიმიკო დატე (იაპ) 6:3, 0:6, 6:2; **ელისონ რისკე (აშშ)**-მირიანა ლუჩიჩი (ხორ) 7:6(2), 6:3; **კრისტინა მლადენოვიჩი (საფ)**-ნა ლი (ჩინ, 2) 7:5, 3:6, 6:1.

# ნადალს გზა ხსნილი აქვს

გუშინ, მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** არ თამაშობდა, მაგრამ ესპანელს შეიძლება მაინც ვუწოდოთ გუშინდელი დღის ერთ-ერთი მთავარი გამარჯვებული. მოვლენები ისე განვითარდა, რომ ნადალს მეოთხედფინალამდე განთესილ ჩოგბურთელთან შეხვედრა არ მოუწევს. საქმე ისაა, რაფას სავარაუდო მეტოქეებს ტრავმების ეპიდემია შეეყარათ: **ნიკოლას ალმაგრო** 0:5-ს აგებდა ამერიკელ **ჯეკ სოკთან** და მიატოვა მატჩი. მიზეზი მარცხენა ფეხის ტრავმა გახდა. **ტომი ჰაასი** 5:2-ს უგებდა **იურგენ ზოპს**, მაგრამ მხრის ტრავმის გამო ვერ გააგრძელა თამაში.

ნადალის კიდევ ერთი სახიფათო პოტენციური მეტოქე **გრიგორ დიმიტროვი** პირველი წრიდან გამოეთიშა ბრძოლას. ბულგარელს არ გაუმართლა, როცა საწყის რაუნდში კარგ ფორმაში მყოფ **ივო კარლოვიჩს** გადაეყარა. წინა კვირას ხორვატმა დიუსელდორფის ტურნირის ფინალამდე მიაღწია, გუშინ კი ბრწყინვალე მოწოდების წყალობით სამ სეტში მოუგო სწრაფად პროგრესირებად მეტოქეს. ივომ 22 ეისი ჩააწოდა, პირველ მოწოდებაზე მხოლოდ 7 (!) ქულა დათმო და საკუთარ გეიმებში 95 გათამაშებიდან 79 მოიგო. ამ მოგებით კარლოვიჩმა რევანში აუღო ბულგარელს ორი კვირის წინ, რომის მასტერსზე მარცხისთვის.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ნადალის პოტენციური მეტოქე ნახევარფინალში **სტენ ვავრინკა** უფრო ადრე გამოეთიშა როლან გაროსს.

ახლა, ფინალამდე რაფას ყველაზე სახიფათო მოწინააღმდეგედ **დავიდ ფერერი** მოჩანს. შარშანდელმა ფინალისტმა ძალიან იოლად დაამარცხა ჰოლანდიელი **იგორ სისლინგი** - 6:4, 6:3, 6:1.

ასევე უნდა აღვნიშნოთ როლან გაროსზე **ენდი მარეის** მოგებით დაბრუნება. ბრიტანელი შარშან პარიზში ტრავმის გამო ვერ ვიხილეთ, გუშინ კი მან ერთი სეტი დაუთმო ყაზახ **ანდრეი გოლუბევს**, თუმცა დანარჩენ პარტიებში ყველაფერი წესრიგში ჰქონდა.

**კაცები**

**I წრე**

**ჯეკ სოკი (აშშ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 21) 5:0 უარი; **დუშან ლაიოვიჩი (სერ)**-ფედერიკო დელბონისი (არგ) 6:3, 6:2, 6:3; **იურგენ ზოპი (ესტ)**-ტომი ჰაასი (გერ, 16) 5:2 უარი; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 11) 6:4, 7:5, 7:6(4); **ანდრეა ჰაიდერ-იაურერი (ავსტრია)**-დანიელ ბრანდსი (გერ) 4:6, 4:6, 6:2, 6:3, 6:4; **აქსელ მიშონი (საფ)**-ბრედლი კლანი (აშშ) 6:1, 6:7(4), 5:7, 6:1, 6:4; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 19)**-სტეფან რობერი (საფ) 7:5, 6:3, 6:4; **ანდრეას სეპი (იტა, 32)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:3, 7:5, 6:3; **ხუან მონაკო (არგ)**-ლუკას პუი (საფ) 6:3, 6:1, 6:4; **სიმონე ბოლელი (იტა)**-ანდრეა არნაბოლდი (იტა) 6:4, 6:4, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-იგორ სისლინგი (ჰოლ) 6:4, 6:3, 6:1; **გაელ მონფილსი (საფ, 23)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:2, 4:6, 6:4, 6:2; **იან-ლენარდ შტრუფი (გერ)**-ალბანო ოლივეტი (საფ) 6:1, 6:4, 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 12)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 6:2, 6:1, 7:5; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 3:6, 6:2, 6:1, 6:4; **პაბლო კუევასი (ურუ)**-მეტიუ ებდენი (ავსტრა) 6:1, 6:2, 6:3; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 24)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:2, 7:6(4), 7:6(3); **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 28)**-პეპე რიბა (ესპ) 7:5, 6:4, 6:1; **დენის ისტომინი (უზბ)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:3, 6:4, 2:6, 6:3; **მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა)**-დასტინ ბრაუნი (გერ) 7:6(5), 6:4, 6:7(1), 7:5; **ენდი მარეი (ბრიტ, 7)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:1, 6:4, 3:6, 6:3.


ენდი მარეი

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| იაპონია-კვიპროსი | 1:0 |
| მოლდოვა-კანადა | 1:1 |
| საამიროები-სომხეთი | 3:4 |
| საფრანგეთი-ნორვეგია | 4:0 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰიფკ-იიპო | 4:0 |
| **ირლანდია** | |
| **EA Sports Cup** | |
| დერი-დანდალკი | 1:2 |
| უექსფორდი-გალვეი | 1:1 პენ. 4:3 |
| **ისლანდიის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| ფრამი-აკურეირი | 1:0 |
| ვესტმანაიეარი-ჰაუკარი | 3:0 |
| იკ-ტორი | 1:5 |
| ფილკირი-ნიარდვიკი | 3:1 |
| ჰამარი-ფიალაბიგდარი | 3:2 |
| სინდრი-რეიკიავიკი | 0:2 |
| ვიდირი-ვალური | 0:1 |
| **პოლონეთი** | |
| იაგელონია-კორონა | 4:4 |
| პოდბესკიძიე-ზაგლებე | 2:0 |
| შლიონსკი-კრაკოვია | 1:0 |
| ვიძევი-პიასტი | 0:0 |
| **ლიტვა** | |
| დაინავა-ბანგა | 2:0 |
| **ტულონის ტურნირი** | |
| ჩილე (U20)-მექსიკა (U20) | 2:2 |
| ჩინეთი (U20)-პორტუგალია (U20) | 1:4 |
| **კალათბურთი** | |
| **იტალია** | |
| მილანი-პისტოია | 88:78 |
| **თურქეთი** | |
| პინარი-ფენერბაჰჩე | 67:74 |
| **საფრანგეთი** | |
| ლიმოჟი-დიჟონი | 80:64 |

ბადმინტონი



# ახალი წესები იქნება

ბადმინტონი, რომელიც სპორტის ოლიმპიური სახეობაა, უახლოეს პერიოდში წესებში სერიოზულ ცვლილებებს მიიღებს. სიახლე შეეხება მატჩში ანგარიშის ათვლას, აგრეთვე ახალ ვოლანზე გადასვლას. აქამდე სპორტსმენების ბატის ნამდვილი ფრთებისგან დამზადებული ვოლანებით თამაშობდნენ, ახალი წესის თანახმად კი ხელმისაწვდომი იქნება პლასტიკური ვარიანტი.

ბადმინტონის მსოფლიო ფედერაცია ინდოეთის ქალაქ ნიუ-დელიში ყოველწლიურ ფორუმზე შეიკრიბა და ორი საკითხი განიხილა. აი რა წერია ორგანიზაციის ოფიციალურ განცხადებაში:

*„ჯერჯერობით ეს საკითხები განხილვის სტადიაშია. ბუნებრივია, ჩვენ ორი სურვილი გვამოძრავებს. ჯერ ერთი, ავამაღლოთ სპორტის ამ სახეობის სანახაობრივი მხარე, მისი მომხიბვლელობა და მეორე მხრივ, არ დავაზარალოთ მისი პოზიციები ოლიმპიურ ოჯახში. სავარაუდოდ, ახალი წესები რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადამდე არ შევა ძალაში. რაც შეეხება ვოლანებს, ამ მომენტისთვის ვეძებთ პლასტიკურ ვარიანტს, რომელიც მაქსიმალურად იქნება მიახლოებული კლასიკურ ვარიანტთან. ამ საკითხში დაინტერესებულნი ვართ, რადგან უნდა დაიკლოს ინვენტარის წარმოების ღირებულებამ“.*

დღევანდელი წესების თანახმად, ბადმინტონისტები ყოველ სეტს 21 ქულის მოგებამდე თამაშობენ. მატჩში გამარჯვებისთვის ორი სეტის მოგებაა საჭირო. ამჟამად განიხილება მესამე პარტიის 11 ქულამდე დაყვანის ვარიანტი. არსებობს კიდევ ერთი წინადადება - ხუთსეტიანი მატჩების ჩატარება თითოში ცხრა ქულის მოგებამდე.

ჩოგბურთი

## დავიდენკომ წასვლა გადაწყვიტა

საფრანგეთის ღია პირველობის პირველ წრეში წაგების შემდეგ **ნიკოლაი დავიდენკო** კარიერის დასრულების შესახებ ალაპარაკდა. პირველ რაუნდში რუსმა ჰოლანდიელ **რობინ ჰაასესთან** წააგო - 5:7, 4:6, 2:6.

*„შესაძლოა, ეს იყო ჩემი ბოლო მატჩი კარიერაში. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა მისაღები, რადგან როლან გაროსის შემდეგ რეიტინგის პირველ ასეულს დავტოვებ,* - განაცხადა დავიდენკომ. - *დანამდვილებით შემიძლია თქმა, რომ არ ვითამაშებ უიმბლდონზე და ბალახის სხვა ტურნირებზე. ეს ჩემთვის საინტერესო აღარ არის“.*

*„ბევრს ვვარჯიშობ, მაგრამ ვგრძნობ, რომ არ შემიძლია გავაკეთო ის, რაც ადრე შემეძლო. აქედან მოდის შეცდომები. ჰაასეს წინააღმდეგ ბოლო პერიოდში ჩემთვის საუკეთესო ჩოგბურთი ვაჩვენე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. არანაირი შანსი არ მქონდა“,* - დაამატა ATP-ის ყოფილმა მეოთხე ნომერმა.

## ფედერერის ფავორიტი ნადალია

შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** მიმდინარე როლან გაროსის ფავორიტი დაასახელა.

*„არ მგონია, რომ ნადალმა ვინმეს დაუთმოს როლან გაროსი. სწორედ ის და არა ნოვაკ ჯოკოვიჩია ტურნირის მთავარი ფავორიტი. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის“,* - განაცხადა შვეიცარიელმა ლეგენდამ პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ.

*„რაფაელმა მოიგო მასტერსი მადრიდში. ის შესანიშნავ ფორმაშია და კარგ ჩოგბურთს აჩვენებს. ამიტომაც მგონია, რომ ის არის საფრანგეთის ღიას მთავარი ფავორიტი“,* - დაამატა როჯერმა.

ალსანიშნავია, რომ ბუკმეიკერები მთავარ ფავორიტად სწორედ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** მიიჩნევენ. ჩემპიონობაზე მისი კოეფიციენტია 1.25, **ნადალისა** - 1.625.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სპორტი და პოლიტიკა

# ვიტალის კოლეგები პოლიტიკაში


ვასილის პაპაგეორგოპულოსი

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ არაოფიციალური ინფორმაციით **ვიტალი კლიჩკომ** გაიმარჯვა კიევის მერის არჩევნებში და სულ მალე უკრაინის დედაქალაქის მმართველი გახდება. ამასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ თქვენთვის გაგვეცნო ის სპორტსმენები, რომლებმაც უფრო ადრე შეძლეს ანალოგიურ ფრონტზე წარმატების მიღწევა.

## ვასილის პაპაგეორგოპულოსი

**სპორტული მიღწევები:** 1971 წელს, მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე 24 წლის ბერძენმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 100 მეტრზე სირბილში. ის იმდენად კარგი იყო, რომ ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა პაპაგეორგოპულოსს საბერძნეთის დროშა ანდო 1976 წლის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე.

**პოლიტიკური კარიერა:** ვასილისი პოლიტიკაში 1978 წელს წავიდა - პრაქტიკულად სპორტული კარიერის დასრულებისთანავე. ის საბერძნეთის სპორტის მინისტრის მოადგილე იყო. 21 წლის შემდეგ, 1999 წელს მან მოიგო ქალაქ სალონიკის მერის არჩევნები და ეს ადგილი ყოფილმა სპრინტერმა 11 წელი შეინარჩუნა. მაგრამ დასასრული სავალალო აღმოჩნდა - პაპაგეორგოპულოსი ცხოვრების ბოლომდე ციხეში იჯდება. მიზეზი ბანალურია - კორუფცია. სასამართლომ ვასილისი 18 მილიონი ევროს მიტაცებაში დაადანაშაულა.

## კევინ ჯონსონი

**სპორტული მიღწევები:** NBA-ში 90-იანი წლების ვარსკვლავი, „ყველა ვარსკვლავის მატჩის" სამგზის მონაწილე, ხუთჯერ მოხვდა რეგულარული ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში. ტიტულის მოგება ვერ შეძლო, მაგრამ მის ოსტატობას ეს ჩრდილს არ აყენებს.

**პოლიტიკური კარიერა:** ჯონსონმა ამომრჩეველს თავი მოაწონა აქტიური ქველმოქმედებით. მან საზოგადოების კეთილგანწყობა მოიპოვა, რომელსაც ისედაც ახსოვდა კევინი კარგ კალათბურთელად. 2008 წლის 5 მარტს ჯონსონმა განაცხადა, რომ თავისი მშობლიური ქალაქის საკრამენტოს მერის არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას. ივნისში მან მოიგო არჩევნების პირველი ტური, ნოემბერში მეორე რაუნდი მოუგო ოპონენტს - ხმების 57.4 პროცენტი მოიპოვა. საკრამენტოს მოქალაქეები ძალიან კმაყოფილები არიან თავიანთი მერით, რომელიც 2012 წელს ხელმეორედ აირჩიეს - ჯონსონს მხოლოდ ერთი ტური დასჭირდა. სხვათა შორის, სწორედ კევინმა იბრძოლა ძალიან აქტიურად იმისთვის, რომ საკრამენტოში ახალი სპორტული დარბაზი აშენებულიყო და ამით ქალაქს NBA-ის კლუბი შეუნარჩუნა.

## დეივ ბინგი

**სპორტული მიღწევები:** NBA-ის კარიერაში საშუალოდ 20 ქულა და 6 შედეგიანი პასი ჰქონდა, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. ის იყო 1975-76 წლების სეზონის უძვირფასესი მოთამაშე და „ყველა ვარსკვლავის მატჩის" შვიდგზის მონაწილე. ამ ყველაფრის წყალობით ის დიდების დარბაზის წევრი გახდა და NBA-ის ისტორიაში 50 საუკეთესო მოთამაშეს შორის მოახვედრეს.

**პოლიტიკური კარიერა:** დეივი ვაშინგტონში დაიბადა, მაგრამ 2009 წელს კრიზისში მყოფი დეტროიტის მერი გახდა. ეს რთული პროცესი იყო და მას თან ახლდა სკანდალი ოპონენტის ბანაკში და ქალაქის წინა მერის გადადგომა. მაგრამ ბინგის შერყეულმა ჯანმრთელობამ და მიჩიგანის შტატის დედაქალაქში არსებულმა საერთო სიტუაციამ მისი პოლიტიკური კარიერა წარუმატებლად აქცია. ბინგის მმართველობისას დეტროიტი ბანკროტად გამოაცხადდა, თავად მერმა კი უკვე განაცხადა, რომ ხელმეორედ კენჭს აღარ იყრის.

## მალიო ორდონიესი

**სპორტული მიღწევები:** ვენესუელელს ძალიან კარგი კარიერა ჰქონდა ბეისბოლში - MLB-ში 14 სეზონი ითამაშა მარჯვენა ფილდერის პოზიციაზე. ექვსჯერ მონაწილეობდა „ყველა ვარსკვლავის მატჩში" და სამჯერ მოიგო თავის პოზიციაზე საუკეთესო შემტევი მოთამაშის პრიზი.

**პოლიტიკური კარიერა:** ორდონიესი უგო ჩავესის დიდი თაყვანისმცემელი იყო. 2009 წელს ის ვენესუელის ტელევიზიით გამოვიდა და ერს, სადაც მან უგო ჩავესის ქება წარმოთქვა, ამ გამოსვლის გამო ბევრმა ფანმა უსტვინა ორდონიესს „მსოფლიოს ბეისბოლის კლასიკის" ტურნირის დროს. ბეისბოლისტს ეს დიდად არ ანაღვლებდა - 2013 წელს ის სოტილიოს მერი გახდა. მან არჩევნებში მონაწილეობა ჩავესის პარტიიდან მიიღო.

## რონ კლარკი

**სპორტული მიღწევები:** ცნობილი ავსტრალიელი მძლეოსანი. გასული საუკუნის 60-იან წლებში ბადალი არ ჰყავდა საშუალო და გრძელ დისტანციებზე - მან მსოფლიოს 17 რეკორდი დაამყარა. სწორედ კლარკმა აანთო ოლიმპიური ცეცხლი 1956 წლის ოლიმპიადაზე. რონის საუკეთესო შედეგი იყო 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაო 10 ათას მეტრზე.

**პოლიტიკური კარიერა:** 2004 წელს კლარკმა გადაწყვიტა ქალაქ გოლდ კოუსტის მერობისთვის ბრძოლა. ეს ის ქალაქია, რომელსაც ყოველწლიურად 10 მილიონ ტურისტზე მეტს სტუმრობს. პლაჟები, მზე, ოკეანე, სერფინგი... მთელი რვა წლის განმავლობაში რონ კლარკი შრომობდა ამ ქალაქის აგლომერაციაზე. უფრო დიდი ხანი შეეძლო ამის კეთება, მაგრამ პოლიტიკაში უფრო შორს წასვლა გადაწყვიტა, თუმცა არ გამოუვიდა - ქუინსლენდის საკანონმდებლო კრების არჩევნებში კრახი განიცადა.


მალიო ორდონიესი






● კრივი

# კლიჩკო ტიტულზე უარს ამბობს?


ვლადიმირ კლიჩკო

სუპერმძიმე წონაში სამი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **ვლადიმერ კლიჩკო** უარს ამბობს IBF-ის აუცილებელ პრეტენდენტთან ბულგარელ **კურბატ პულევთან** ბრძოლის გამართვაზე.

კლიჩკოს მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** განაცხადა, რომ უკრაინელი მოკრივის შტაბს ხელს არ აძლევს პულევის პრომოუტერების ფინანსური მოთხოვნები.

IBF-მა კლიჩკოს დაავალდებულა ტიტულის დაცვა ბულგარელ მოკრივესთან, რომელიც აუცილებელი პრეტენდენტი გახდა 2013 წლის აგვისტოში ამერიკელ **ტონი ტომპსონთან** გამარჯვების შემდეგ.

უმცროსი კლიჩკოს სურვილია ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის ჩატარება WBC-ის ჩემპიონთან კანადელ **ბერმეინ სტივერნთან**. პულევის პრომოუტერმა **კალე ზაუერლანდმა** განაცხადა, რომ თუ უკრაინელი უარს იტყვის ბულგარელთან ბრძოლაზე, მას ჩამოერთმევა IBF-ის ქამარი.

*„არ აქვს მნიშვნელობა, რას ლაპარაკობს ზაუერლანდი. მნიშვნელობა აქვს იმას, რა სურს ვლადიმირს, მას კი ტიტულების გაერთიანება უნდა",* - განაცხადა ბენტემ.

ასევე ვლადიმირ კლიჩკოს მენეჯერმა ჩვეულებრივი პიარი უწოდა პულევის სიტყვებს იმის შესახებ, რომ უკრაინელი ცდილობს გაექცეს ამ ბრძოლას.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28)
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ბესიკ ჯანგავაძე**
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოყენება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**